ოქმი:**ო31. 3123363001**
თარიღი:**29/12/2023**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის
ოქმი N17

ქ. ლანჩხუთი

22. 12. 2023 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები ვერიკო კვირკველია და გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე კახაბერ ასკურავა, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ცირა ბზეკალავა.

მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური სერვისების სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი, მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი ვარდენ კვაჭაძე, მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი პაატა ურუშაძე.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ მასმედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** პირველ რიგში აღნიშნა, რომ ქართველი ყოველთვის ახლოს იყო ევროპასთან და მის ღირებულებებთან. 14 დეკემბერი ისტორიული დღეა, რადგან საქართველოს მიენიჭა ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი. დამსწრე საზოგადოებას მიულოცა ეს თარიღი. ასევე, დარბაზში მყოფთ მიულოცა დამდეგი შობა-ახალი წელი. მან ასევე მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერს და კოლეგებს გაწეული შრომისთვის, რის შედეგად მიღებული და გადაჭრილი იქნა მუნიციპალიტეტის

მოსახლეობისთვის ძალიან საჭირო და მნიშვნელოვანი საკითხები, მაგრამ გასაკეთებელი კიდევ ბევრია, ამიტომ კვლავ აქტიურად და შემართებით იმუშავებენ, რათა უფრო ნაყოფიერი დარჩეს 2024 წელი. ამის შემდეგ აღნიშნა, რომ საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მერიიდან შემოვიდა ერთი საკითხი და მიმართა საკრებულოს წევრებს, აღნიშნული საკითხი დამატებოდა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი.

მომხრე საკრებულოს 23 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ალექსანდრე სარიშვილი/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ალექსანდრე სარიშვილი/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

5 „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 ივნისის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 ივნისის N28 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

8. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების

დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი გიორგი ხელაძე/

9. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი გიორგი ხელაძე/

10. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი პაატა ურუშაძე/

11. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ვერიკო კვირკველია/

12. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ღონისძიებათა 2024 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ვერიკო კვირკველია/

13. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ვერიკო კვირკველია/

14. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების გეგმის (2024 -2027) დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

15. „მდგრადი განვითარების მიზნების ლანჩხუთის მუნიციპალური დოკუმენტის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

16. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი თამარ ფირცხალაიშვილი/

17. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი

განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ვარდენ კვაჭაძე/

18. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის წლიური ანგარიშის მოსმენა გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხსენებელი ბესიკ ტაბიძე/

19. სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი.

მომხრე საკრებულოს 23 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ ისაუბრა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან განმარტა, რომ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 29 სექტემბრის N1740 განკარგულებით გამოიყო 150000 ლარი მუნიციპალიტეტში სექტემბრის თვეში განვითარებული სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის სასტუმროში გადაყვანისა და სასტუმროს ხარჯების დაფინანსებისათვის და სტიქიის ზონაში მომუშავე სპეციალიზებული ტექნიკის მომსახურების ხარჯების დაფინანსებისათვის 550000 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის N2475 განკარგულებაში შეტანილი ცვლილებით შემცირდა გზების სარეაბილიტაციო (ორგ.კოდი 020101) სამუშაოების დაფინანსება 13882 ლარით, მათ შორის ცენტრალური ბიუჯეტი 11882 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება- 2000 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 04 იანვრის N116 განკარგულებაში შევიდა ცვლილება 2023 წლის 19 დეკემბრის N2291 განკარგულებით და დამატებით გამოეყო სტიქიის შედეგად განსახორციელებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად 113218 ლარი; მათ შორის სოფელ ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულში სასაფლაოსთან მისასვლელ გზაზე ხიდის და დამცავი კედლის გამაგრება 113218 ლარი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის წერილის საფუძველზე ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამის 900 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს ცელიაკიით დაავადებულთა (18 წლამდე ასაკის) კვებითი დანამატებით უზრუნველყოფის პროგრამა 900 ლარით.

განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მომართვის საფუძველზე განათლების ხელშეწყობის პროგრამის (ორგ.კოდი 0403) შემცირდეს სუბსიდიის მუხლის 800 ლარის შემცირების გაიზარდოს სხვა ხარჯების მუხლი 800 ლარით.

ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის საქონელი და მომსახურების მუხლი 78386,50 ლარი, არაფინანსური აქტივების მუხლის 27491,40 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს სხვა ხარჯების მუხლი 105877,90 ლარით.

ა(ა)იპ კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის მომართვის საფუძველზე დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის (ორგ.კოდი 03 01) შემცირდეს არაფინანსური

აქტივების მუხლი 40000 ლარით, სადღესასწაულო ღონისძიებების (ორგ. კოდი 020603) 5000 ლარით, ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯი 9500 ლარით, მწვანე ნარგავების მოვლა - პატრონობის, (ორგ.კოდი 03 02) შემცირდეს ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯი 445 ლარით, აღნიშნული შემცირებების ხარჯზე გაიზარდოს დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის (ორგ.კოდი 03 01) შრომის ანაზღაურების მუხლი 8700 ლარით და შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 10000 ლარით, სხვა საქონელი და მომსახურების მუხლი 6000 ლარი, მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობის (ორგ.კოდი 03 02) გაიზარდოს შრომის ანაზღაურების მუხლი 445 ლარით მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის (ორგ.კოდი 02 07) შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლი 800 ლარით, სადღესასწაულო ღონისძიებების ხარჯი სხვა საქონელი და მომსახურების მუხლი 29000 ლარით.

ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების არაფინანსური აქტივების მუხლის 2685 ლარით და სხვა ხარჯების მუხლის 3000 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს საქონელი და მომსახურების მუხლი 5685 ლარით.

ა(ა)იპ სპორტული ცენტრის ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯი გაიზარდოს 2000 ლარით.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ასევე აღნიშნა, რომ მთავრობის სხდომაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რის საფუძველზეც მუნიციპალიტეტს პროექტის წინსწრებით შესრულების წარდგენის გამო ქ. ლანჩხუთში ქუჩების რეაბილიტაციისთვის დამატებით გამოეყოფა 1 940 465 ლარი, რომლის ასახვაც დროულად უნდა მოხდეს ბიუჯეტში.

მუნიციპალიტეტის მერის **ალექსანდრე სარიშვილის** განმარტებით, მუნიციპალიტეტს წლის მეორე ნახევარში გარდამავალ პროექტებზე გამოეყო 2 480 000 ლარი, საიდანაც დაახლოებით 480000 ლარის ღირებულების პროექტები უნდა შესრულებულიყო მიმდინარე წელს, ხოლო დანარჩენი თანხის ანაზღაურება უნდა მომხდარიყო რგფ ფონდის 2024 წლის ლიმიტიდან. ვინაიდან, მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულებებში თავიდანვე ჩადო, რომ პროექტები დასრულებულიყო მიმდინარე წელს, ხოლო ანაზღაურება განხორციელებულიყო 2024 წელში. ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ მიმდინარე წელსვე დაასრულა ეს სამუშაოები. შესაბამისად, სხვადასხვა მუნიციპალიტეტებიდან გამოთავისუფლებული ფინანსები, სადაც ვერ მოხერხდა რგფ-დან გადარიცხული თანხის ათვისება, ფინანსები გადანაწილდა იმ მუნიციპალიტეტებში, რომელთაც წინსწრებით დაასრულეს პროექტები. აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის 2024 წლის ლიმიტს არ დააკლდება 1 940 465 ლარი და დარჩება ის ოდენობა, რაც იყო განსაზღვრული.

დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი.
მომხრე საკრებულოს 23 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა დადგენილება N21 (22.12.2023).

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა.** მან პირველ რიგში ქართველ ერს მიულოცა დიდი გამარჯვება-ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭება და იმედი გამოთქვა, რომ მთავრობის ჩართულობით და ქართველი ხალხის ერთიანობით მალე შეუერთდებიან ევროკავშირის დიდ ოჯახს. ამის შემდეგ ურთიერთთანამშრომლობისა და ნაყოფიერი მუშაობისთვის მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის საკრებულოს, რომელმაც დეტალურად განიხილა და დაამუშავა როგორც პრიორიტეტების დოკუმენტი, ასევე ბიუჯეტის პროექტი, რის შედეგადაც მათი მხრიდან მოწოდებული იქნა გარკვეული შენიშვნები და წინადადებები, რომელთა გათვალისწინება მოხდა შესაძლებლობის ფარგლებში. რაც შეეხება მიმდინარე წლის ბიუჯეტს, დღეის მდგომარეობით იგი შესრულებულია 107 %-ით, ხოლო დღგ-97,9%-ით. ყველა მაჩვენებელი, გარდა დასუფთავების მოსაკრებლისა, ფაქტობრივად, 100 %-ით არის შესრულებული.

დღევანდელი სიტუაციით, გარდა 1 940 465 ლარისა, რომელიც ახლა უნდა აისახოს ბიუჯეტში, პირველად ხდება, როცა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებელი 40 მლნ. ლარამდეა. ბოლო წლებში არსებული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართული სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რითაც თავის მხრივ, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარება.

ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით 2024-2027 წწ-ში მუნიციპალიტეტის სტრატეგია თითქმის უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

ინფრასტრუქტურის განვითარება;

დასუფთავება და გარემოს დაცვა;

განათლება;

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები.

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია, წყლის სისტემების, გარე განათების ქსელის განვითარება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

დასუფთავება და გარემოს დაცვის პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარემოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება, კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში, უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები და მდინარეზე ნაგვის დამჭერის მოწყობა. დაფინანსდება აღნიშნულთან დაკავშირებული ხარჯები, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება, ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები. შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა–დასუფთავება და ნარჩენების გატანა; ქალაქის ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი სამუშაოები. ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, სკვერებში ბალახის გათიბვა ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მაწანწალა ძაღლების თავშესაფარში გადაყვანა.

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა.

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ–ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად,

მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარება.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან.

რაც შეეხება მმართველობას და საერთო დანიშნულების ხარჯებს, პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება. ამავე პრიორიტეტიდან ფინანსდება ისეთი ხარჯები, როგორებიცაა სარეზერვო ფონდი, მუნიციპალიტეტის ვალდებულებების (სესხები, სასამართლო გადაწყვეტილებები) მომსახურება.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი.
მომხრე საკრებულოს 18 წევრი, წინააღმდეგი საკრებულოს 5 წევრი (ჯუმბერ ბლაგიძე, გიორგი გოგუაძე, კახაბერ ასკურავა, ირმა მგელაძე, გივი ცინცაძე).
მიღებულ იქნა განკარგულება N84 (22.12.2023).

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა.** მან განმარტა, რომ დადგენილება მომზადებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე და 91 მუხლების შესაბამისად და განსაზღვრავს 2024 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე. მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი დაზუსტებული პროექტით განისაზღვრა 22 მილიონ 483 ათას 900 ლარით.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ 2024-2027 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების საბაზო მაჩვენებლების შესაბამისად (2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის თანდართული მასალები). მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული ასიგნებების ზრდა შეესაბამება საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 155^1 მუხლის 2-ე პუნქტის მოთხოვნებს.

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და 6^1-ე პუნქტების გათვალისწინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებულ საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებია.

2024 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 19729,7 ათას ლარს შეადგენს. 2023 წლის გეგმურ მაჩვენებელთან შედარებით 2024 წლის შემოსავლების პროგნოზი იზრდება 4608.7 თასი ლარით (30.5 %-ით).

2024 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების

მიხედვით შემდეგია:

დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 12824,7 ათასი ლარით. 2023 წლის გეგმურ მაჩვენებელთან შედარებით დღგ გაზრდილია 11,1 %-ით (1285,7 ათასი ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით;

ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 1500,0 ათას ლარს. 2023 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით ქონების გადასახადი 300 ათასი ლარით არის გაზრდილი, რაც გამოწვეულია საწარმოთა ქონების გადასახადის გაზრდით.

გრანტების სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება 1953,6 ათასი ლარით, მათ შორის: სხვა დონის სახელმწიფო ორგანიზაციებიდან გამოყოფილი ტრანსფერი (მიზნობრივი) 270.0 ათასი ლარი, რომელიც მიიმართება დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების დაფინანსებაზე. 2023 წლის გეგმურ მაჩვენებელთან შედარებით გრანტები 326.4 ათ ლარით შემცირდა.

2024 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია: შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 340,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

რენტა 290,0 ათასი ლარი; პროცენტები 50 ათასი ლარი; 2023 წლის გეგმური მაჩვენებელი შენარჩუნებულია.

შემოსავლები საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 52,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

სანებართვო მოსაკრებლები 10,0 ათასი ლარი;

მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 12,0 ათასი ლარი, არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება 30,0 ათასი ლარი;

აღნიშნული შემოსავლები 2023 წლის საპროგნოზო მაჩვენებლებთან არის შესაბამისობაში.

შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 3467.0 ათასი ლარის ოდენობით, 2023 წლის გეგმურ მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია მოსალოდნელი შესრულების გათვალისწინებით.

ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული - (შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან) 176,0 ათასი ლარი. უნდა აღინიშნოს, რომ მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით შეძენილი 5 ახალი ავტობუსი ჩამოვა 30 დეკემბრამდე და სავარაუდოდ, 2024 წლის იანვრის თვიდან მოხდება მათი გაშვება ქსელში. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტს გამოეყო დამატებით ტრანსფერი 206 100 ლარის ოდენობით.

არაფინანსური აქტივების კლების (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს 79,0 ათასი ლარს; ამავდროულად ბიუჯეტი ითვალისწინებს ვალის დაფარვას 58,1 ათასი ლარის ოდენობით.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა საკუთარი შემოსავლებით შეადგენს 21900,3 ათას ლარს (2023 წლის დაზუსტებულ გეგმასთან შედარებით იზრდება 4042,6 ათასი ლარით). აღნიშნული ზრდა გამოწვეულია მომსახურების ხარჯების ზრდით.

წლის დასაწყისისთვის არსებული ნაშთი იქნება 2091000 ლარი, რითაც მოხდება ბიუჯეტის დაბალანსება.

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

ინფრასტრუქტურის განვითარება - 3014,1 ათასი ლარი; მათ შორის:

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 573,6 ათასი ლარი;

წყლის სისტემების განვითარება -397,3 ათასი ლარი;

გარე განათება - 850,4 ათასი ლარი;

კეთილმოწყობის ღონისძიებები-172,0 ათასი ლარი;

მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება - 125,5 ათ ლარი

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯები განსაზღვრულია 395,3 ათასი ლარი:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვის ხარჯებისა და ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურება. ასევე, მოხდება სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისათვის საჭირო ხარჯების ანაზღაურება.

მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია - 400 ათასი ლარი

ოჯახების სოციალურ - ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამა - 100,0 ათასი ლარი

დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა - 2474,5 ათასი ლარი, მათ შორის:

დასუფთავება და ნარჩენების გატანა - 2177,4 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა.

მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება - 277,1 ათასი ლარი

მოსახლეობისთვის ჯანსაღი და კომფორტული გარემოს შესაქმნელად აუცილებელია მუნიციპალიტეტის გამწვანება და ეკოსისტემის გაუმჯობესება. პროგრამის ფარგლებში მოხდება ქალაქ ლანჩხუთში მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების მოვლა-პატრონობა.

უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები - 20,0 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მაწანწალა ცხოველების დაცვითი ღონისძიებები.

განათლება - 4279,6 ათასი ლარი, მათ შორის:

სკოლამდელი განათლება - 4233,1 ათასი ლარი;

განათლების ხელშეწყობა - 46,5 ათასი ლარი;

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 4589,5 ათასი ლარი მათ შორის:

სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 2236,2 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდის მიზნით. ასევე, სპორტის სხვადასხვა სახეობაში გაიმართება ტურნირები მოყვარულ და პროფესიონალ სპორტსმენებს შორის, მოხდება სპორტული სკოლების უზრუნველყოფა საჭირო ინვენტარით. პროგრამა ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებსაც.

კულტურის განვითარების ხელშეწყობა -2323,3 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი განახორციელებს სახელოვნებო სკოლების, ბიბლიოთეკების, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის, მუზეუმისა და კულტურის ცენტრის დაფინანსებას, უზრუნველყოფს მათი ფუნქციონირებისთვის საჭირო მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას. მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული და დასვენების ობიექტის ფინანსური მხარდაჭერა, განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიება და სხვა.

ახალგაზრდობის მხარდაჭერა -30,0 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ახალგაზრდების ინიციატივებით წარმოდგენილი სხვადასხვა პროექტების განხორციელება და სხვა.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 1236,1 ათასი ლარი, მათ შორის:

საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა - 270,0 ათასი ლარი;

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:· არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება; დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება; მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;

სოციალური პროგრამები - 966,05 ათასი ლარი;

მმართველობა - 6306,7 ათასი ლარი, მათ შორის:

საკრებულოს დაფინანსება - 1392,5 ათასი ლარი;

მერია - 4391,9 ათასი ლარი;

სარეზერვო ფონდი - 70,0 ათასი ლარი;

სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდისთვის დასაფარავი თანხა და ვალის მომსახურება 90,0 ათასი ლარი, მათ შორის - ძირი 58,1 ათასი ლარი და პროცენტი -31,9 ათასი ლარი.

წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა 20,0 ათასი ლარი.

ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა - 342.3 ათასი ლარი. მათ შორის შპს ,,ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრი“, რომელზეც მიიმართება 207300 ლარი. გარდა ამისა, კოლხეთის ეროვნულ პარკთან დაკავშირებით, სადაც ევროკავშირის დახმარებით იხარჯება საკმაოდ დიდი თანხა, არის ახალი პროექტი, რაზეც გერმანული არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ მოხდება დაფინანსება 500000 ლარით. ასევე არის შეთანხმება სახელმწიფოსთან, რომ გამოიყოს დამატებით თანხა, რათა გაკეთდეს მისასვლელი ასფალტირებული გზა. როგორც ცნობილია, დაცული ტერიტორიები არის გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში. აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტს ტურისტული საქმიანობის განხორციელების ნებართვის თაობაზე უახლოეს მთავრობის სხდომაზე მიეცა თანხმობა.

რაც შეეხება გზების მიმდინარე შეკეთებას, მუნიციპალიტეტს არ ჰყავს არანაირი ტექნიკა, ამიტომ 550000 ლარი დაიხარჯება ორი ერთეული ტექნიკის შეძენაზე. გარდა ამისა, საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება - 373600 ლარი, სადაც გათვალისწინებულია ვიდეოკამერების თანხის ანაზღაურება და დამატებით ვიდეოკამერების მოწყობა- 100000 ლარი. სასმელი წყლის რეაბილიტაციაზე განისაზღვრა 230000 ლარი; მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია - 400000 ლარი. ეს არის პროექტი, რომლის ფარგლებში მოეწყობა საქმიანი ეზო, რისთვისაც შეირჩა ისეთი ტერიტორია, რაც ხელს შეუწყობს ქალაქის განტვირთვას. პროექტი მზადდება და სავარაუდოდ, იანვრის თვის ბოლოსთვის გამოცხადდება ტენდერი. უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებების თანხა უცვლელია და განისაზღვრა 20000 ლარით. ეს ერთ ერთ მწვავე პრობლემას წარმოადგენს მუნიციპალიტეტში, მაგრამ დღეისთვის არსებული მიდგომები თუ არ შეიცვალა, ჯერ-ჯერობით დაფინანსების ზრდის შემთხვევაშიც სიტუაცია არ შეიცვლება, რადგან ხდება მიუსაფარი ცხოველების შემოყვანა მუნიციპალიტეტში, რისი კონტროლიც ვერ ხერხდება.

მუნიციპალიტეტის მერმა როგორც უკვე აღნიშნა, რომ სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება განისაზღვრა- 4233000 ლარით. პირველ რიგში გათვალისწინებულია ბაღის თანამშრომლების ხელფასების ზრდა-სრულ განაკვეთზე 100 ლარით მატება, ხოლო დანარჩენი გათვლილია საოფისე ხარჯებსა და ავეჯის შეძენაზე, რაზეც თანხა

შემცირებულია, რადგან ჯერ-ჯერობით არ არის ცნობილი, დასრულდება თუ არა 2024 წელს ყველა ბაღის მშენებლობა. მიმდინარე წელს დაწყებულია ხუთი ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა და საჭიროებიდან გამომდინარე, 2024 წლის შემოსავლებით მოხდება დაბალანსება, რათა მუნიციპალიტეტმა დამატებით შეიძინოს ავეჯი.

სპორტის სფეროს განვითარება განისაზღვრა 4589500 ლარით. მათ შორის სპორტული ცენტრის ხელშეწყობა-718600 ლარით; სტადიონის ფუნქციონირება-215000 ლარით; საფეხბურთო სკოლის ხელშეწყობა-454500 ლარით; ქალთა სპორტის განვითარება-175000 ლარით; კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში-600000 ლარით, სადაც გათვალისწინებულია 5 მინი სტადიონის მშენებლობა. კულტურის დაწესებულებათა ხელშეწყობა-1424400 ლარი; სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა-527900 ლარი; კაპიტალური დაბანდებები კულტურის სფეროში განისაზღვრა 300000 ლარით; უნდა აღინიშნოს, რომ სუფსის სამუსიკო სკოლასთან მიმართებაში, რომლის შენობა სტიქიის შედეგად ძალიან დაზიანდა და რეაბილიტაცია საკმაოდ დიდ ხარჯთანაა დაკავშირებული, მიმდინარე წელს გამოცხადდა ტენდერი, მაგრამ მშენებლობა ჯერ არ დაწყებულა. 2023 წლის 200000 ლარი გადავა მომავალ წელში. საერთო ჯამში, 500000 ლარის ფარგლებში სუფსაში აშენდება ახალი, კეთილმოწყობილი და ადაპტირებული სამუსიკო სკოლის შენობა. საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა განისაზღვრა 270000 ლარით; რაც შეეხება სოციალურ პროგრამებს, სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამას, სადაც გათვალისწინებულია 160000 ლარი, დაემატა ბიოფსიის თანადაფინანსება. საჭიროებიდან გამომდინარე, მოხდება ამ მუხლის ზრდა. ასევე, ლანჩხუთის რეგიონული ორგანიზაციის ,,გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ ონკოპაციენტთა მხარდაჭერის, რეაბილიტაციის და ფარისებრი ჯირკვლის კიბოს სკრინინგისა და ადრეული გამოვლენის პროგრამა განისაზღვრა 55000 ლარით. გარდა ამისა, კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებას ჰქონდა შემოტანილი საკითხი ბიბლიოთეკის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, რაზეც საკრებულოს მხრიდანაც იყო მოთხოვნა 80000 ლარის ფარგლებში, რაც გათვლების შედეგად დადგინდა, რომ არ იქნებოდა საკმარისი და ამ კუთხით გათვალისწინებულია 130000 ლარი. ასევე, მწვავე პრობლემას წარმოადგენს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შენობის საკითხი, რაზეც ექსპერტიზის მხრიდან გამოითქვა მოსაზრება, რომ არ იქნება მიზანშეწონილი შენობის რეაბილიტაცია. აქედან გამომდინარე, 2024 წლის ბიუჯეტში გამოსაძებნი იქნება შესაბამისი სახსრები, რათა დაიწყონ მუზეუმისთვის ახალი შენობის მშენებლობა.

მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ ზოგადად, 2018-2023 წლებში ბიუჯეტი დაახლოებით 4 750000 ლარით იზრდება.

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ **ია მოქიამ** პირველ რიგში დამსწრე საზოგადოებას მიულოცა ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭება და ასევე, დამდეგი შობა-ახალი წელი. ამის შემდეგ აღნიშნა, რომ ფრაქციამ დეტალურად განიხილა ფინანსური დოკუმენტი და მხარი დაუჭირა, რადგან მასში შესულია ისეთი საკითხები, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია მომავალი თაობის აღზრდა-განვითარებისთვის, როგორიცაა ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია, ასევე, სუფსის სამუსიკო სკოლისთვის ახალი შენობის აშენება, რაც წლების განმავლობაში მწვავე პრობლემას წარმოადგენდა. რისთვისაც, მუნიციპალიტეტის მერს სუფსის მოსახლეობის სახელით მადლობა გადაუხადა. რაც შეეხება, ბიუჯეტში წყლის სისტემის განვითარებას, ამ კუთხით ბევრი კარგი პროექტი ხორციელდება, მაგრამ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ გათვალისწინებულია გულიანსა და უნაგირას წყლის მიწოდების სისტემის მოწესრიგება. ასევე, ხელისუფლება ზრუნავს ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფისთვის. კერძოდ, აშენდება 5 მინი სტადიონი. ბიუჯეტის პროექტში სხვადასხვა მიმართულებით გათვალისწინებულია მრავალი ისეთი საკითხი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტისთვის. რაც შეეხება ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ წინადადებებს, უმრავლესობის წევრებს ჰქონდათ როგორც სოციალური, ასევე ინფრასტრუქტურული კუთხით. ფრაქცია და დარგობრივი კომისია თანხვედრაში მოხდა ისეთ სოციალურ პროგრამებთან მიმართებაში, როგორიცაა ბიოფსიის სკრინინგი და 0-დან 18 წლამდე დედ-მამით ობოლი ბავშვების და შშმ ბავშვების, რომელიც არის ობოლი ერთჯერადი სოციალური დახმარების პროგრამის დაფინანსების ზრდასთან დაკავშირებით. საერთო ჯამში, 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი მორგებულია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საჭიროებებზე, დაგეგმილია ისე, რომ შესაძლებელი იქნება ძალიან ბევრი პრობლემის აღმოფხვრა. საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ მოუწოდა კოლეგებს მხარი დაუჭირონ წარმოდგენილ პროექტს.

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე **გიორგი გოგუაძე** შეუერთდა მილოცვას საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით, რის შემდეგ აღნიშნა, რომ ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გადაწყვეტილებით, სამი სხდომის განმავლობაში ინდივიდუალურად შეხვდნენ მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ების ხელმძღვანელებს და დეტალურად მოხდა პრობლემების განხილვა. ფრაქციის მიერ შემოტანილი იქნა რამდენიმე წინადადება, როგორიცაა ა(ა)იპ ფინანსური დახმარება, ასევე, ახალი პროექტი, როგორიცაა პირველ კლასელთა კვებასთან დაკავშირებით, რომლის საკითხად შეტანაც კი არ მომხდარა, რათა განეხილათ საკრებულოს კომისიებს და ფრაქციებს. საკრებულოს წევრის მოსაზრებით, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებული არ არის გარკვეული საკითხები სხვადასხვა სფეროს მიხედვით. კერძოდ, რამდენიმე ა(ა)იპ-თვის მოითხოვეს როგორც დაფინანსების გაზრდა, საბავშვო ბაღებში ბავშვების ტრანსპორტირების გათვალისწინება, ასევე, შენობების მონაცვლეობა ქალთა და ბავშვთა ფეხბურთისთვის, რათა ფეხბურთის აკადემიის შენობაში დაიდონ ბინა. გარდა ამისა, ახლად შექმნილი შპს ,,ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრი“ განთავსდეს ყოფილი მონადირეთა კავშირის შენობაში, რითაც გამოთავისუფლდება ფართი. ამასთან, პრიორიტეტების დოკუმენტში არ არის ასახული სპორტული ცენტრის მშენებლობა, მაშინ სპორტული სკოლის სექციები გადანაწილებულია საჯარო სკოლებში. პრობლემებია საჭიდაო დარბაზთან დაკავშირებით და მოსაგვარებელია რაგბის სტადიონზე გასახდელების საკითხი. საკრებულოს წევრმა უკმაყოფილება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ ასევე არ არის გათვალისწინებული ქალაქში კანალიზაციის მოწესრიგების საკითხი, რაც თავის მხრივ, ძალიან მწვავე პრობლემას წარმოადგენს. საერთო ჯამში, ბიუჯეტი განისაზღვრა 22 483 900 ლარით. შტატით დასაქმებულია 748 ადამიანი და შრომითი ანაზღაურება შეადგენს 8041 300 ლარს, რომლის მიხედვით საშ. ხელფასი გამოდის 895 ლარი. ხელშეკრულებით აყვანილი თანამშრომლები არის 534 ადამიანი, რომელთა ანაზღაურებაა 3168000 ლარი და საშ. ხელფასი გამოდის 494 ლარი. საერთო ჯამში, ბიუჯეტის 65 % შეადგენს შრომით ანაზღაურებას. გარდა ამისა, საკრებულოს წევრების ერთიან აზრს წარმოადგენდა ის, რომ გაზრდილიყო სადეპუტატო უფლებამოსილების ხარჯი. ასევე, მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური, რომლის სახელფასო ბიუჯეტი შეადგენს 150000 ლარს, ახორციელებს პროგრამებს 121000 ლარის ფარგლებში. ამასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ ეს სამსახური კოორდინაციას უწევს მუნიციპალიტეტის მასშტაბით ყველა კულტურულ, სპორტულ, საგანმანათლებლო თუ ახალგაზრდულ ღონისძიებებს, რის თაობაზეც საკრებულოს წევრისთვის კარგად არის ცნობილი.

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე **გიორგი გოგუაძე** დაინტერესდა შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

-ჩოჩხათში, წყლის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით განსაზღვრული 230000 ლარი რა სახის პროექტია;

- გათვალისწინებულია თუ არა აკეთში მინი სტადიონის აშენება;

- სუფსის სამუსიკო სკოლასთან დაკავშირებით ასახულია 300000 ლარი და გამოყოფილი იყო 200000 ლარი, თუ არის რაიმე ამ კუთხით გაკეთებული;

- ხორეთში სასაფლაოსთან მისასვლელი გზა თუ არის გათვალისწინებული ჩოჩხათში სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ გზის რეაბილიტაციაზე გამოყოფილ 113000 ლარში.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ხორეთში სასაფლაოსთან გადასასვლელი ხიდი არის სტიქიის შედეგად დაზიანებული, რომლის რეაბილიტაცია მოითხოვეს გადაუდებელი სიტუაციიდან გამომდინარე, გამოიყო გარკვეული თანხა და უკვე გაფორმდა ხელშეკრულება. რაც შეეხება წყლის სისტემის რეაბილიტაციას, ეს არის სუფსის და გულიანის სიტუაცია, სადაც შემსრულებელი კომპანიის მიერ ყველა სამუშაო განხორციელდა, მაგრამ წყლის მიწოდება მაინც ვერ მოხერხდა. შესაბამისად, პროექტი არ არის ჩაბარებული და კომპანიისთვის თანხა არ გადარიცხულა. მუნიციპალიტეტს და კომპანიას შორის მიმდინარეობს სასამართლო დავა. ვინაიდან, საქმის განხილვა გარკვეული პერიოდის განმავლობაში ვერ დასრულდება, მუნიციპალიტეტმა მთავრობასთან და ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით , დამატებით გამოყო 230000 ლარი, პროექტირებას და მშენებლობას განახორციელებს

ერთი კომპანია. თუკი, სასამართლო მუნიციპალიტეტის მიმართ მიიღებს გამამტყუნებელ გადაწყვეტილებას, მაშინ მოხდება კომპანიისთვის თანხის გადარიცხვა. მინი სტადიონებთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ აკეთი ნამდვილად გათვალისწინებულია. სოფლის თხოვნა იყო, რომ სტადიონი იყოს გარდაცვლილი პიროვნების სახელობის, რაზეც მუნიციპალიტეტმა გასცა თანხმობა. ამის შემდეგ მიმართა საკრებულოს წევრს, გიორგი გოგუაძეს, რომ ფრაქციის მიერ მიწოდებული შენიშვნებს გაეცნო, მაგრამ არის გარკვეული საკითხები, რომლის ბიუჯეტში ასახვა მიზანშეწონილი ნამდვილად არ არის. უნდა აღინიშნოს, რომ კულტურის მიმართულებით განხორციელდა გარკვეული ზრდა. რაც შეეხება საბავშვო ბაღებში ტრანსპორტირების საკითხს, როგორც ცნობილია, მოსწავლეების ტრანსპორტირებას ახორციელებს სახელმწიფო, რაც საკმაოდ დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული, ამასთან, პატარა ბავშვების გადაყვანას უნდა მოემსახუროს ყოველმხრივ გამართული და გარკვეული სტანდარტის მქონე მიკროავტობუსები. ასევე, შეეხო სკოლებში კვების საკითხს და აღნიშნა, რომ ეს არის მსჯელობის თემა, რადგან საგანმანათლებლო სისტემაში ყველაფერს-ტრანსპორტირება იქნება ეს თუ მშენებლობა, ახორციელებს სახელმწიფო და შესაბამისი სამინისტრო. მიუხედავად, ამისა, ფრაქციის მიერ შემოტანილი განცხადება გადაეგზავნა შესაბამის სამინისტროს და ასლი ადგილზე მიეწოდა საგანმანათლებლო რესურს-ცენტრს. რაც შეეხება ქალთა ფეხბურთს, მუნიციპალიტეტის მერმა კიდევ ერთხელ მიულოცა მათ მიღწეული წარმატება, რის შემდეგ აღნიშნა, რომ გუნდის მხრიდან ყველა თხოვნა მუნიციპალიტეტის მხრიდან დაკმაყოფილდა. ამასთან, ეს არის შპს, რომელსაც შეუძლია გარკვეული თანხების მოზიდვა. ყველაზე მეტი თანხა ქალთა ფეხბურთის კუთხით, გამოყოფილია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში. როგორც ჩემპიონებს, ექნებათ დამატებითი ფინანსური რესურსი ფეხბურთის ფედერაციიდან და ქალთა ფეხბურთის განვითარების ფონდიდან, დაახლოებით 50000 ლარი გამოეყოფათ. რაც შეეხება, ფეხბურთელების საცხოვრებელი ბინის შერჩევას, მუნიციპალიტეტის ვალდებულება არ არის. მუნიციპალიტეტის მერს არ მიაჩნია მიზანშეწონილად, რომ აკადემიაში, რომელიც გათვლილია ბავშვების მომსახურებაზე, საცხოვრებლად შეუშვან ზრდასრული ფეხბურთელები, მათ შორის, დაოჯახებული პირები. ფეხბურთის აკადემია შესაბამისი შეთანხმებით გადაეცა ფედერაციას. მისი ფუნქციონირება გარკვეული კუთხით დღესდღეობით ნამდვილად შეზღუდულია, მაგრამ საფეხბურთო სკოლა და ქალთა ფეხბურთი საჭიროებისამებრ იყენებს აკადემიას. გარდა ამისა, შესაბამის სტრუქტურებთან ერთად გრძელდება მუშაობა და მსჯელობა იმისთვის, რომ ფეხბურთის აკადემიამ გააგრძელოს ფუნქციონირება იმ მიმართულებით, როგორც თავიდან ჰქონდა. რაც შეეხება ხელფასების თემას, საჯარო სამსახურის შესახებ კანონი არეგულირებს. როგორც საჯარო სამსახურში და ა(ა)იპ-ში, ასევე შპს-ში მოხდა 10 %-იანი მატება, გარდა საბავშვო ბაღებისა, სადაც გათვლილია 100 ლარიანი მატება,რაც დაახლოებით 15 %-მდე ზრდაა. რაც შეეხება საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგებას, ეს ნამდვილად მწვავე პრობლემაა, მაგრამ არ არის მართებული საკითხის პრიორიტეტებში გაწერა, რაზეც საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილემ

გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ საკითხი შეიძლება ჩაისვას პრიორიტეტის დოკუმენტში და ეთხოვოს მუნიციპალური განვითარების ფონდს, რათა გაკეთდეს გარდამავალი პროექტი და ეტაპობრივად დაიწყოს ქუჩებზე პრობლემის მოგვარება. ასევე, მისი თხოვნაა, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაში მოიკითხონ, რა ბედი ეწია მათ ბალანსზე რიცხულ მიმღებს, რადგან თავის დროზე თურქული კომპანიის მიერ იგეგმებოდა 55000 მაცხოვრებელზე ქალაქში, კანალიზაციის სისტემის მოწესრიგება და გამოყენებული იქნებოდა მიმღების 70 %.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ თავისუფლების ქუჩა უნდა გაკეთდეს განსხვავებულად, რადგან აქვს გარკვეული ინფრასტრუქტურა. კანალიზაციის საკითხი პირდაპირ გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ვალდებულება და პასუხისმგებლობაა. როგორც ცნობილია, დამატებით 37 მლნ. ლარი დაიხარჯება წყლის სისტემის რეაბილიტაციაზე, რათა ყველა სტანდარტის გათვალისწინებით ქალაქში საბოლოოდ მოწესრიგდეს ამ კუთხით სიტუაცია. გარდა ამისა, 2022 წელს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას ავტობანის მიმდებარედ გადაეცა მიწის ფართი, სადაც უნდა გაკეთებულიყო ე.წ. გამწმენდი ნაგებობა. პროექტი დამუშავების პროცესშია, რადგან მიმდინარეობს საკმაოდ მასშტაბური სამუშაოები წყალმომარაგების სისტემასთან დაკავშირებით, რის შედეგად მუნიციპალიტეტის 11 სოფელს ექნება სასმელად ვარგისი წყალი. საერთო ჯამში დაახლოებით, 62 მლნ. ლარი მიიმართება მუნიციპალიტეტში წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგებაზე. რაც შეეხება

სპორტული დარბაზის საკითხს, იანვრის თვის ბოლოსთვის გამოცხადდება გარდამავალ პროექტზე ტენდერი და 2024 წელში დაიწყება დაახლოებით 1 500000 ლარის ფარგლებში სპორტული ცენტრის მშენებლობა. სუფსის სამუსიკო სკოლასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მერმა კიდევ ერთხელ განმარტა, რომ 200000 ლარი გადავა 2024 წელში და 500000 ლარის ფარგლებში დაიწყება მშენებლობა და მომავალი წლის ოქტომბრისთვის ექნებათ ახალი შენობა.

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ **კახაბერ ასკურავამ** თავისი გამოსვლა დაიწყო მილოცვით ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით, რის შემდეგ აღნიშნა, რომ არა ხელისუფლების ჩამოუყალიბებელი პოზიცია, დღეს იდგებოდნენ უკრაინის და მოლდოვის სახელმწიფოების გვერდით და საუბარი იქნებოდა არა კანდიდატის, არამედ გაწევრიანების შესახებ. მისმა ასეთმა განცხადებამ საკრებულოს ზოგიერთი წევრის უკმაყოფილება გამოიწვია. ამის შემდეგ, საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე შეეხო ფრაქციის წინადადებას პირველკლასელთა კვების თაობაზე და აღნიშნა, რომ როგორც მისთვისაა ცნობილი, ბიუროს წევრების გარკვეული ნაწილი თანახმა იყო საკითხი გაეთვალისწინებინათ პროექტში, მაგრამ საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის ინიციატივით ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წინადადების განხილვა არ მომხდარა. არადა, შეიძლებოდა საკითხის შესახებ კომისიებსა და ფრაქციებში მსჯელობა, რის შემდეგ მუნიციპალიტეტის მერს ექნებოდა ლეგიტიმური უფლება, წარმოედგინა კონკრეტული შენიშვნები. საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ გამოთქვა უკმაყოფილება, რომ ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის ასეთი განცხადება ბიუროს წევრების შეურაცხყოფაა.

ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ ეგ. ნინოშვილის მუზეუმის საგამოფენო დარბაზი კატასტროფულ მდგომარეობაშია, სადაც ექსპონატები ფაქტობრივად ჩამოსახსნელი და შესანახია. გარდა ამისა, იმედოვნებდა, რომ მუნიციპალიტეტის მერი მიმდინარე წლის 7-8 სექტემბრის სტიქიის დროს დაზარალებულ მოსახლეობასთან დაკავშირებით ისაუბრებდა კონკრეტულ მიდგომებზე.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** მიმართა ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარეს, რომ საზოგადოება შეჰყავს შეცდომაში, მაშინ როცა კახაბერ ასკურავას ხელისუფლებაში ყოფნის დროს ეგ. ნინოშვილის მუზეუმში არაფერი არ გაკეთებულა.

ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის განცხადებით, რამდენიმე წლის წინ, წყლის სისტემის რეაბილიტაციისას სამი სოფლის მომსახურების გაუმჯობესების მიზნით დაიხარჯა დაახლოებით 800000 ლარი, არადა დანადგარს ერთი თვეც კი არ უმუშავია, რაზეც საკრებულოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ დაიხარჯა 200000 ლარი და 4 წლის განმავლობაში პრობლემა არ შექმნილა.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** თავის მხრივ აღნიშნა, რომ დღეს საუბარია მუნიციპალიტეტის 2023-2024 წლის ბიუჯეტზე. 2016 წლისთვის მუნიციპალიტეტში რგფ-დან 3 მლნ-დე ლარი იხარჯებოდა. დაინტერესების შემთხვევაში, შეიძლება შესაბამისი იმ პერიოდის დოკუმენტაციის მოძიება და ნახვა. ამასთან ყველა გამოთხოვილი აუდიტის დასკვნა გადაგზავნილია შესაბამის სტრუქტურაში. ამის შემდეგ, მიმართა ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარეს, რომ არ შეიძლება სტიქიის თემებით სპეკულირება, მაშინ როცა არ დაინტერესებულა შექმნილი მძიმე სიტუაციით. რაც შეეხება შემდგომ ღონისძიებებს, საუბარია 45 მლნ. ლარზე. მოხდა აღწერა, რომელიც გადაგზავნილია შესაბამის სტრუქტურებში და ელოდებიან ახალი სახსრების გამოყოფას. გზების გაწმენდითი სამუშაოები რაღაც დონეზე განხორციელდა, მაგრამ შემდგომმა წვიმებმა შექმნა გარკვეული პრობლემები. ცხადია, რომ ერთ და ორ თვეში არ ხდება კაპიტალური პროექტების მოწესრიგება. სტიქიის შედეგად დაზარალებულ 360 ოჯახს, რომელთაც უწევთ გასახლება და არ გააჩნიათ ალტერნატიული ფართი, ასევე, ვისაც დოკუმენტაცია მოწესრიგებული აქვთ, ყველანაირად გვერდით უდგანან. მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ეკა გუჯაბიძე თანამშრომლებთან ერთად მაქსიმალურს აკეთებენ მათ დასახმარებლად. დაზარალებული ოჯახებიდან გარკვეულ რაოდენობას დაერიცხა 50000 ლარის კომპენსაცია. საუბარია, რომ ვისაც გააჩნია ალტერნატიული ფართი დაერიცხოს 30000 ლარი. უნდა აღინიშნოს, რომ იმ პირებს, რომელთაც არ აქვთ დოკუმენტაცია მოწესრიგებული, იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილებით, ჩამოვლენ ადგილზე და ერთი კვირის განმავლობაში, მთელი გურიის მასშტაბით, დაახლოებით 820 ოჯახს, მათ შორის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტიდან 350

ოჯახს, უფასოდ დაურეგისტრირებენ სახლებსა და მიწის ფართობებს.

მუნიციპალიტეტის მერს ასევე, მიუღებლად მიაჩნია საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის განცხადება ევროკავშირის მიერ კანდიდატის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით.

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილემ **ნინო მშვიდობაძემ** დამსწრე საზოგადოებას მიულოცა დამდეგი შობა -ახლი წელი და ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭება, რაც საქართველოსთვის ნამდვილად ისტორიული ფაქტია. ეს არის ხალხის და ხელისუფლების ერთობლივი დამსახურება, რისთვისაც მადლობა გადაუხადა მათ. ასევე, მადლობის ღირსია ევროკავშირი, რომელმაც დაინახა და ღირსეულად მიანიჭა ქვეყანას სტატუსი. ამის შემდეგ შეეხო პრიორიტეტების დოკუმენტს და ბიუჯეტის პროექტს და აღნიშნა, რომ ძალიან ბევრი კარგი პროექტი და პროგრამაა ასახული სხვადასხვა სფეროსა თუ მიმართულებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია სოციალური პაკეტი, რომელიც მაქსიმალურად მორგებულია აბსოლუტურად ყველა ბენეფიციარზე, განსაკუთრებით-ბავშვებზე. საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილემ მადლობა გადაუხადა კოლეგებს და მუნიციპალიტეტის მერს ერთობლივი მუშაობისთვის. განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა ა(ა)იპ კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის ხელმძღვანელს და თანამშრომლებს და აღნიშნა, რომ სადღესასწაულოდ ასეთი მორთული ლანჩხუთი ჯერ არ ყოფილა, რაც მათი მუხლჩაუხრელი შრომის შედეგია.

საკრებულოს წევრი **დარეჯან ბურჭულაძე** შეუერთდა მილოცვებს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ განსაკუთრებული მადლობის ღირსია ხელისუფლება, რომლის ძალისხმევის შედეგად ქვეყანამ მშვიდობიანი გზით მიაღწია დასახულ მიზანს. რაც შეეხება ბიუჯეტს, პროექტში ძალიან ბევრი კარგი რამაა გათვალისწინებული. ეს არის ცოცხალი ორგანიზმი, სადაც წლის განმავლობაში მიეცემათ საშუალება გააკეთონ იმაზე მეტი, რაც დაგეგმილია. ამის შემდეგ აღნიშნა, რომ მისთვის მიუღებელი უკრაინის თემით აპელირება. თავის მხრივ, სოლიდარობას და თანადგომას უცხადებს უკრაინელ ხალხს, მაგრამ მადლობის ღირსია ხელისუფლება, რომ საქართველო დღეს არ იზიარებს უკრაინის ბედს.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ უერთდება მილოცვას ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით. ეს არის ქვეყნის და განსაკუთრებით, პრემიერ მინისტრის მიერ გადადგმული სწორი ნაბიჯების შედეგი, რაც არა მარტო, მისი, არამედ მოსახლეობის უმრავლესობის აზრია, მაგრამ ძალიან შემაშფოთებელია ის ზიზღნარევი მიდგომა, რაც არსებობს ერთმანეთის მიმართ და იმედოვნებს, რომ მომავალში მსგავსი რამ აღარ განმეორდება. რაც შეეხება ბიუჯეტის პროექტს, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ აღნიშნა, რომ ალექსანდრე სარიშვილის მუნიციპალიტეტის მერობის პერიოდში ბიუჯეტის მიერ აღებულ არც ერთ ვალდებულების შესრულებას არანაირი პრობლემა არ შეჰქმნია. გასულ წელთან შედარებით ბიუჯეტი 4 მლნ. ლარზე მეტითაა გაზრდილი. ხორციელდება არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტი, ძალიან ბევრი რამ კეთდება კულტურულ და სპორტის სფეროში. ასევე, აღსანიშნავია სოციალური პროგრამები. მიუხედავად ამისა, არის პრობლემები, რაც ერთ წელიწადში ვერ მოგვარდება. ერთ-ერთი გამოწვევაა სპორტული ცენტრის აშენება, მაგრამ იმედი გამოთქვა, რომ ერთობლივი ძალისხმევის შედეგად 2024 წელს ეს საკითხი მოგვარდება.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის განცხადებით, მადლობის ღირსია პირველ რიგში მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური, მუნიციპალიტეტის მერი, მუნიციპალიტეტის საკრებულო, მაგრამ მიუღებელია ისეთი საკითხების წამოჭრა და აპელირება, როგორიცაა სტიქიის თემა, რადგან იმ პერიოდში ძალიან ბევრი რამ გაკეთდა. ადამიანებმა დაკარგეს ოჯახის წევრები, დარჩნენ სახლ-კარის გარეშე და არიან მოლოდინის რეჟიმში, მაგრამ სახელმწიფოს მხრიდან გაკეთდება ყველაფერი, რათა ეს ტკივილი და პრობლემები შეუმსუბუქდეთ. დამსწრე საზოგადოებას მიულოცა დამდეგი-შობა ახალი წელი და უსურვა შემდგომი წარმატებები.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ **ვერიკო კვირკველიამ** გაიზიარა კოლეგის პათოსი და აღნიშნა, რომ ბიუჯეტის შესაძლებლობის და რესურსის გათვალისწინებით, მაქსიმალურად არის შემოთავაზებული ის პროექტები, რაც ძალიან მნიშვნელოვანი და აუცილებელია მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის. აქედან გამომდინარე, მოუწოდა კოლეგებს, მხარი დაუჭირონ წარმოდგენილ პროექტს.

საკრებულოს წევრი **ჯუმბერ ბლაგიძე** შეუერთდა მილოცვებს და აღნიშნა, რომ ეს არის დიდი წარმატება. ამის შემდეგ მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს, რომ კარგი იქნებოდა, 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა მომხდარიყო ცალკე, რიგგარეშე სხდომაზე. საკრებულოს ფრაქციამ ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის" დეტალურად განიხილა როგორც ბიუჯეტის პროექტი, ასევე, დღევანდელ სხდომაზე წარმოდგენილი საკითხები, რომელთაგან გარკვეულ თემებს არ დაეთანხმნენ. ფრაქციის მიერ გამოთქმული წინადადებებიდან, თუნდაც ერთი ინიციატივა რომ ასახულიყო, პროექტს დაუჭერდნენ მხარს. საკრებულოს წევრისთვის კარგადაა ცნობილი, რომ ქალაქში კანალიზაციის სისტემის მოწესრიგებას მხოლოდ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის რესურსით ვერ შეძლებენ, მაგრამ სასურველი იქნებოდა, თუ პრიორიტეტებში გაითვალისწინებდნენ საკითხს, რათა პროექტირება მაინც დაწყებულიყო. ასევე, შესაძლებელი იქნებოდა კონსულტაციები შესაბამის უწყებებთან, რათა მოგვარებულიყო 6 კლასამდე მოსწავლეების კვების საკითხი.

საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე** შეეხო სტიქიის საკითხს და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერთან, საკრებულოს წევრებსა და მერიის შესაბამისი სამსახურის თანამშრომლებთან და ასევე, საგზაო დეპარტამენტის წარმომადგენლებთან ერთად 24 საათის განმავლობაში, მუხლჩაუხრელად ედგნენ მოსახლეობას გვერდით. ოპოზიციისგან განსხვავებით, პირადად, იმ 4 სოფლის გარდა, რომლის მაჟორიტარ დეპუტატსაც წარმოადგენს, ასევე, მთელს მუნიციპალიტეტში ადგილზე ეცნობოდა შექმნილ სიტუაციას.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ **ზაზა წულაძემ** აღნიშნა, რომ არ შეიძლება სხვადასხვა თემებით აპელირება, ასევე, აუცილებელია ურთიერთობაში გარკვეული ეთიკის დაცვა. მისი პირადი მოსაზრებით, რომ არა სწორად გადადგმული ნაბიჯები, დღეს სულ სხვა სიტუაციაში იქნებოდნენ. ამის შემდეგ შეეხო საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარის მოადგილის მიერ გაჟღერებულ ინიციატივას პირველკლასელთა კვების შესახებ, რაც მისი აზრით, მოსაწონი იდეაა, მაგრამ ამას ესაჭიროება საკითხის დეტალურად ჩამოყალიბება და კარგი იქნება, თუ ამასთან დაკავშირებით, შესაბამის სამინისტროსთან ერთად იმსჯელებენ.

საკრებულოს წევრი **ელისო ჭიჭინაძე** თავის მხრივ შეუერთდა მილოცვას დამდეგ შობა-ახალ წელსა და ევროკავშირის მიერ კანდიდატის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პრემიერ მინისტრის მეთაურობით, მთავრობის მიერ სწორად გატარებული პოლიტიკის შედეგად ქვეყანამ მშვიდობიანად გაიარა ბეწვის ხიდზე და დამსახურებულად მიიღო სტატუსი. რაც შეეხება, ბიუჯეტის პროექტს, აღნიშნა, რომ საკრებულოს კომისიებსა და ფრაქციებში დეტალურად განიხილეს სხვადასხვა საკითხები. მან მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერს, რადგან მიუხედავად იმისა, ეთანხმება თუ არა, უყურადღებოდ არ ტოვებს საკითხს და დასაბუთებულად მსჯელობს მის ირგვლივ. ბიუჯეტის პროექტში წარმოდგენილია ძალიან კარგი სოციალური პროგრამები, რომელიც სრულადაა მორგებული მოსახლეობის ინტერესებზე. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ყოველწლიურად იზრდება, რაც მუნიციპალიტეტის მერის დამსახურებაა თითოეულ მათგანთან ერთად. გარდა ამისა, საკრებულოს წევრის განცხადებით, უნდა მოუსმინონ განსხვავებულ აზრს, მაგრამ აუცილებელია გარკვეული ზღვრის დაცვა.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ საკრებულოს ფრაქციებიდან და კომისიებიდან მოწოდებული შენიშვნები შეძლებისდაგვარად იქნა გათვალისწინებული. პირველად მოხდა, რომ ბიუჯეტში ადგილობრივი შემოსავლებიდან ასეთი რაოდენობის თანხაა ჩადებული. ამის შემდეგ აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრმა არასწორად ისაუბრა ეგ. ნინოშვილის სახლ-მუზეუმთან დაკავშირებით, რომელიც ეკუთვნის კულტურის მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს. შენობა არის ამორტიზებული და სავარაუდოდ, ექვემდებარება დემონტაჟს. სააგენტოსთან შეთანხმებით, ასაშენებელია შესაბამისი სტანდარტის შენობა. ამის შემდეგ, მადლობა გადაუხადა საკრებულოს ყველა წევრს, მიუხედავად მათი შეხედულებისა, საკრებულოს აპარატს გაწეული მუშაობისთვის, მერიის ყველა სამსახურს, ა(ა)პ-ებს, ასევე, შპს-ებს და მასმედიის წარმომადგენლებს. მან კიდევ ერთხელ დააფიქსირა, რომ სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახები, რომლებიც გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე ექვემდებარებიან გასახლებას, არ დარჩებიან უყურადღებოდ და პროცესი გაგრძელდება ბოლომდე. დარბაზში მყოფთ მიულოცა დამდეგი შობა-ახალი წელი და უსურვა შემდგომი წარმატებები.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი.
მომხრე საკრებულოს 18 წევრი, წინააღმდეგი საკრებულოს 3 წევრი (ჯუმბერ ბლაგიძე, გიორგი გოგუაძე, გივი ცინცაძე).
მიღებულ იქნა დადგენილება N22 (22.12.2023).

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ.** მან აღნიშნა, რომ „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, შეიცვალა დასაქმებულის საბაზო თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი, რამაც განაპირობა წარმოდგენილი ცვლილების ინიციირება. პროექტის ფინანსური უზრუნველყოფა უკვე განსაზღვრულია მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტში.

გარდა ამისა, 2024 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება საქართველოს კანონი „თავდაცვის კოდექსი“, რომლის თანახმად წვევამდელის სამხედრო აღრიცხვაზე პირის აყვანას ახორციელებს სამინისტროს სისტემაში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც იქმნება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. შესაბამისად, სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის ფუნქციები აღარ იქნება მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილ სტრუქტურაში არ არის მერიის სამხედრო სამსახური.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი.
მომხრე საკრებულოს 18 წევრი, წინააღმდეგი საკრებულოს 3 წევრი (ჯუმბერ ბლაგიძე, გიორგი გოგუაძე, გივი ცინცაძე).
მიღებულ იქნა დადგენილება N23 (22.12.2023).

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 ივნისის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ**. მან აღნიშნა, რომ საქართველოს კანონის „თავდაცვის კოდექსი“ 180-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსითა და შესაბამისი სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს, რომლებიც უკავშირდება სამხედრო აღრიცხვასა და მასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს, წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურს (გაწვევის ორგანიზებას, გამოძახებას, გაწვევას, გაწვევისგან გათავისუფლებას ან გაწვევის გადავადებას), სამობილიზაციო სარეზერვო სამხედრო სამსახურს (ჩარიცხვას, გამოძახებას, გაწვევას, გაწვევისგან გათავისუფლებას ან გაწვევის გადავადებას), 2024 წლის 01 იანვრამდე ახორციელებს მუნიციპალიტეტის მერი ან/და მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი სტრუქტურული ერთეული, ხოლო 2024 წლის 01 იანვრიდან აღნიშნულ უფლებამოსილებებს კოდექსის შესაბამისად განახორციელებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი.

მომხრე საკრებულოს 19 წევრი, წინააღმდეგი საკრებულოს 2 წევრი (გიორგი გოგუაძე, გივი ცინცაძე).
მიღებულ იქნა დადგენილება N24 (22.12.2023).

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 ივნისის N28 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ ისაუბრა მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ**, რომელმაც აღნიშნა, რომ საქართველოს კანონის „თავდაცვის კოდექსი“ 180-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსითა და შესაბამისი სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს, რომლებიც უკავშირდება სამხედრო აღრიცხვასა და მასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს, წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურს (გაწვევის ორგანიზებას, გამოძახებას, გაწვევას, გაწვევისგან გათავისუფლებას ან გაწვევის გადავადებას), სამობილიზაციო სარეზერვო სამხედრო სამსახურს (ჩარიცხვას, გამოძახებას, გაწვევას, გაწვევისგან გათავისუფლებას ან გაწვევის გადავადებას), 2024 წლის 01 იანვრამდე ახორციელებს მუნიციპალიტეტის მერი ან/და მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი სტრუქტურული ერთეული, ხოლო 2024 წლის 01 იანვრიდან აღნიშნულ უფლებამოსილებებს კოდექსის შესაბამისად განახორციელებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი. აღნიშნულის გათვალისწინებით, კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების მიზნით, საჭიროა 2024 წლის 01 იანვრიდან გაუქმდეს მერიაში მოქმედი ზემოაღნიშნული უფლებამოსილებების განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეული.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი.
მომხრე საკრებულოს 22 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა დადგენილება N25 (22.12.2023).

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ**. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობები განისაზღვრა შემდეგნაირად:

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტორული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსით“ განსაზღვრული განაშენიანების დეტალური გეგმის ფარგლებში და მშენებლობის ნებართვის გაცემის ფარგლებში შესათანხმებელი გამწვანების პროექტთან დაკავშირებული მოთხოვნების განსაზღვრა. აგრეთვე მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებით გათვალისწინებული დაგეგმილი გამწვანების (რომელშიც აღწერილია სავარაუდო გამწვანების პროექტი) დაკავშირებული მოთხოვნების განსაზღვრა.

2. ამ დადგენილების მოქმედება ვრცელდება „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტორული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსით“ გათვალისწინებულ გამწვანების პროექტზე, გარდა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისა და იმ ფუნქციური ზონისა, რომელშიც გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი განსაზღვრული არ არის.

3. გამოყენებულ ტერმინებს აქვთ „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტორული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ მე-3 მუხლით განსაზღვრული მნიშვნელობა.

მუხლი 2. განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის ეტაპზე

დასამუშავებელი გამწვანების ზოგადი პროექტი

1. განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების ეტაპზე წარსადგენი გამწვანების ზოგადი პროექტი უნდა მოიცავდეს დაგეგმილი გამწვანების შესახებ ზოგად მონაცემებს.

2. გამწვანების ზოგადი პროექტის შეთანხმების პირობები

ა) გამწვანების ზოგადი პროექტის ეტაპზე წარმოდგენილ უნდა იქნას მწვანე ნარგავების აღწერისა და მათი ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემული საექსპერტო დასკვნა, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს ამ დადგენილების მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრულ პირობებს;

ბ) გამწვანების ზოგადი პროექტი უნდა მოიცავდეს საპროექტო ტოპოგრაფიულ გეგმას, რომელზეც დატანილი უნდა იქნას გასამწვანებელი არეალები;

გ) გამწვანების ზოგადი პროექტის ეტაპზე წარმოდგენილ უნდა იქნას პროექტის განხორციელებისთვის ხელისშემშლელი მოსაჭრელი/გადასარგავი მწვანე ნარგავების შესახებ ინფორმაცია ცხრილის სახით, საპროექტო არეალში შემავალი თითოეული მიწის ნაკვეთისთვის ცალ-ცალკე;

დ) მოსაჭრელი/გადასარგავი მწვანე ნარგავები შესაბამისი ნუმერაციითა და პირობითი აღნიშვნებით დატანილ უნდა იქნას საპროექტო ტოპოგრაფიულ გეგმაზე;

ე) პროექტის განხორციელებისთვის ხელისშემშლელი მოსაჭრელი, ჯანსაღი, ღირებული მწვანე ნარგავების რაოდენობა არ უნდა აჭარბებდეს ტერიტორიაზე არსებული ჯანსაღი ღირებული მწვანე ნარგავების 25 %-ს;

ვ) გამწვანების ზოგად პროექტში მითითებული უნდა იყოს დაგეგმილი ფუნქციური ზონის შესაბამისი გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი/ები შესაბამის საანგარიშო ფართობებთან ერთად.

მუხლი 3. განაშენიანების დეტალური გეგმით გათვალისწინებული გამწვანების პროექტი

1. განაშენიანების დეტალური გეგმით გათვალისწინებული გამწვანების პროექტი შედგენილი უნდა იყოს მიწის ნაკვეთის ფუნქციური ზონირების შესაბამისად, გარდა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისა და იმ ფუნქციური ზონისა, რომელშიც გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი განსაზღვრული არ არის.

2. გამწვანების პროექტით გათვალისწინებული უნდა იყოს:

ა) გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი შესაბამის საანგარიშო ფართობთან ერთად, რომლის ათვისებაც ტერიტორიაზე უნდა განხორციელდეს მწვანე ნარგავებით;

ბ) გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობა და დახასიათება (მათ შორის, ხნოვანება, გარშემოწერილობა, სიმაღლე);

გ) არსებული, გადასარგავი და საპროექტოდ დასარგავი მწვანე ნარგავების გაშენების არეალი.

დ) გამწვანების პროექტის დასრულების თარიღი;

ე) გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი პირი;

ვ) ფოტომონტაჟის სახით მოცემული გამწვანების პროექტის გამოსახულება;

ზ) დამატებითი საინფორმაციო დაფის ამსახველი ფოტოსურათები, რომელზედაც მითითებულია ინფორმაცია სამშენებლო ობიექტზე გამწვანების მინიმალური კოეფიციენტით განსაზღვრული ფართობის ათვისების, გამწვანების პროექტის ძირითადი ასპექტებისა და პარამეტრების შესახებ.

3. გამწვანების პროექტის ფარგლებში დასარგავი მწვანე ნარგავების სახეობები უნდა შეირჩეს ამ დადგენილების დანართი №1-ის გათვალისწინებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი პრიორიტეტული ხე-

მცენარეების სიიდან.

4. გამწვანების პროექტი უნდა მოიცავდეს საპროექტო ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების აღწერისა და მათი ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნას.

5. მწვანე ნარგავების აღწერისა და მათი ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემული საექსპერტო დასკვნა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) გაცემული უნდა იყოს შესაბამისი ექსპერტის მიერ. ექსპერტთა სიის განსაზღვრის უფლებამოსილება აქვს მუნიციპალიტეტს;

ბ) შედგენილი უნდა იყოს „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტორული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ მე-3 მუხლით გათვალისწინებული ტერმინების გამოყენებით;

6. მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე გაცემულ საექსპერტო დასკვნაში მითითებული უნდა იქნეს შემდეგი ინფორმაცია:

ა) მწვანე ნარგავების შესწავლისა და დასკვნის გაცემის თარიღი, ადგილი (მისამართი, საკადასტრო კოდი) და საფუძველი;

ბ) ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების საერთო რაოდენობა და შეფასებული მწვანე ნარგავების რაოდენობა;

გ) კვლევის ჩატარების მეთოდი;

დ) ინფორმაცია მწვანე ნარგავების სახეობის, მდგომარეობის, დიამეტრის (მიწის ზედაპირიდან 10 სმ სიმაღლეზე) და საჭიროების შემთხვევაში ხნოვანების თაობაზე;

ე) მწვანე ნარგავების ნუმერაციის მიხედვით კვლევის ამსახველი ფერადი ფოტო-მასალა, რომელზეც თვალსაჩინოდ უნდა ჩანდეს საპროექტო ტერიტორიაზე აღწერილი თითოეული მწვანე ნარგავის ხარისხობრივი მდგომარეობა (როგორც ღერო, ასევე ვარჯი) და საექსპერტო დასკვნის შესაბამისად მინიჭებული ნუმერაცია.

ვ) დაავადებული/წვერხმელი მწვანე ნარგავების შემთხვევაში დასკვნას უნდა ერთოდეს ლაბორატორიული კვლევის ამსახველი დოკუმენტი, ასეთის საჭიროებისას და დასაბუთება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა აღნიშნული ხე-მცენარე გამოჯანსაღებას;

ზ) ჯანსაღი მწვანე ნარგავების შემთხვევაში ექსპერტის დასაბუთებული არგუმენტაცია ხე-მცენარის გადარგვისა და მისი გახარების შესაძლებლობის თაობაზე.

თ) წვერხმელი მწვანე ნარგავების შემთხვევაში - მწვანე ნარგავის რა ნაწილია ხმელი.

ი) საექსპერტო დასკვნა უნდა მოიცავდეს ტოპოგრაფიულ გეგმას, რომელზეც დატანილი უნდა იყოს საპროექტო ობიექტების სქემა (შენობა-ნაგებობები, გზა, პარკინგი, და სხვა) და საექსპერტო დასკვნაში აღწერილი მწვანე ნარგავები შესაბამისი ნუმერაციით, ასევე, ტოპოგრაფიულ გეგმაზე აღნიშნული უნდა იყოს საპროექტო შენობასა და მწვანე ნარგავებს შორის არსებული მანძილები.

მუხლი 4. მშენებლობის ნებართვის მისაღებად წარდგენილი სანებართვო განაცხადისთვის თანდართული გამწვანების პროექტი

1. მშენებლობის ნებართვის მისაღებად წარდგენილი გამწვანების პროექტი უნდა მოიცავდეს:

ა. განაშენიანების დეტალური გეგმის არსებობის შემთხვევაში – ამ გეგმის ფარგლებში შეთანხმებულ გამწვანების პროექტს;

ბ. გამწვანების მინიმალური კოეფიციენტით განსაზღვრულ ფართობს, გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობას და დახასიათებას (მათ შორის, ხნოვანება, გარშემოწერილობა, სიმაღლე), გამწვანების პროექტის დასრულების თარიღს,

გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობისთვის პასუხისმგებელ პირს, ფოტომონტაჟის სახით მოცემულ გამწვანების პროექტის გამოსახულებას;

გ. დამატებითი საინფორმაციო დაფის ამსახველ ფოტოსურათებს, რომელზედაც მითითებულია ინფორმაცია სამშენებლო ობიექტზე გამწვანების მინიმალური კოეფიციენტით განსაზღვრული ფართობის ათვისების, გამწვანების პროექტის ძირითადი ასპექტებისა და პარამეტრების შესახებ.

2.ეს მუხლი არ ვრცელდება ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლებსა და იმ შენობა-ნაგებობების არქიტექტურულ პროექტებზე, რომელთა შეთანხმებაც მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის იმ ფუნქციურ ზონაში, რომელშიც გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი განსაზღვრული არ არის.

3.სამშენებლო ნებართვის მფლობელმა, ნებართვის დადგენილი წესით გაცემიდან 10 დღის ვადაში არსებული საინფორმაციო დაფის გვერდით უნდა განათავსოს სხვა, დამატებითი საინფორმაციო დაფა, რომელზედაც უნდა მიეთითოს ინფორმაცია სამშენებლო ობიექტზე გამწვანების მინიმალური კოეფიციენტით განსაზღვრული ფართობის ათვისების, გამწვანების პროექტის ძირითადი ასპექტებისა და პარამეტრების შესახებ (გარდა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისა და იმ შენობა-ნაგებობების არქიტექტურული პროექტებისა, რომელთა შეთანხმებაც მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის იმ ფუნქციურ ზონაში, რომელშიც გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი განსაზღვრული არ არის), კერძოდ:

ა) გამწვანების მინიმალური კოეფიციენტით განსაზღვრული ფართობი;

ბ) გამწვანების პროექტის შეთანხმების თარიღი;

გ) გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობა და დახასიათება (მათ შორის, ხნოვანება, გარშემოწერილობა, სიმაღლე);

დ) გამწვანების პროექტის დასრულების თარიღი;

ე) ინფორმაცია გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობისთვის პასუხისმგებელი პირის შესახებ;

ვ) გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლის ხანგრძლივობა;

ზ) შეთანხმებული გამწვანების პროექტის მაკეტი ან/და გამოსახულება ფოტომონტაჟის სახით.

მუხლი 5. მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებით გათვალისწინებული დაგეგმილი გამწვანების პროექტი

1.მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებით გათვალისწინებულია დაგეგმილი გამწვანების პროექტის წარდგენა, მასში უნდა აღიწეროს სავარაუდო გამწვანების პროექტი.

2.დაგეგმილი გამწვანების პროექტი უნდა მოიცავდეს:

ა) ინფორმაციას დაგეგმილი გამწვანების შესახებ, რომელშიც აღწერილია სავარაუდო გამწვანების პროექტი. გარდა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისა;

ბ) ექსპერტის დასკვნას მიწის ნაკვეთზე არსებული მწვანე ნარგავის/ნარგავების აღწერისა და ხარისხობრივი შეფასების შესახებ;

გ) ტოპოგრაფიულ გეგმას, რომელზედაც აღნიშნულია მწვანე ნარგავები ექსპერტის დასკვნით მინიჭებული ნომრების მიხედვით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტები არ მოითხოვება იმ ფუნქციურ ზონაზე, რომელშიც გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი განსაზღვრული არ არის.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი.
მომხრე საკრებულოს 22 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა დადგენილება N26 (22.12.2023).

დღის წესრიგის მერვე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ** და აღნიშნა, რომ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობებში“ შესატანი ცვლილებები განპირობებულია საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე. კერძოდ, პოლიტიკურ თანამდებობის პირთა ხელფასები წლების განმავლობაში არ გაზრდილა, გამონაკლისია მხოლოდ გასული წელი. მათი საქმიანობის დაფასებისა და მოტივაციის კიდევ უფრო გაზრდის მიზნით, მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ხელფასების გარკვეული რაოდენობით მატების შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ხელფასების მოწესრიგება.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი.
მომხრე საკრებულოს 18 წევრი, წინააღმდეგი საკრებულოს 4 წევრი (ჯუმბერ ბლაგიძე, გიორგი გოგუაძე, ირმა მგელაძე, გივი ცინცაძე).
მიღებულ იქნა დადგენილება N27 (22.12.2023).

დღის წესრიგის მეცხრე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ**. მისი განმარტებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N15 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებულ დანართში „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში“ შეტანილ იქნა შემდეგი სახის ცვლილება: მე-13 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „5. საკრებულოს წევრის მიერ ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯები შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან საკრებულოს წევრებს აუნაზღაურდებათ, რომლის ზღვრული ოდენობაა თვეში 850 ლარი. საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერს საკითხთან მიმართებაში გამოხატული პოზიციის და თანადგომისთვის.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი.
მომხრე საკრებულოს 18 წევრი, წინააღმდეგი საკრებულოს 4 წევრი (ჯუმბერ ბლაგიძე, გიორგი გოგუაძე, ირმა მგელაძე, გივი ცინცაძე).

მიღებულ იქნა დადგენილება N28 (22.12.2023).

დღის წესრიგის მეათე საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა პაატა ურუშაძემ. პირველ რიგში დამსწრე საზოგადოებას მიულოცა საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭება და დამდეგი შობა-ახალი წელი. ამის შემდეგ აღნიშნა, რომ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N16 დადგენილების (სსმ ვებგვერდი matsne.gov.ge, 25/08/2023 წელი, სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.112.016519) 1-ლი მუხლით დამტკიცებულ დანართში ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესში" უნდა შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

ა) დანართის მე-2 მუხლის ,,ზ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით.

,,ზ) წარმატებული პედაგოგი – ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო, კერძო და სახელოვნებო სკოლის მოქმედი ან ყოფილი - საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, ეროვნული ჯილდოს მფლობელი და მენტორი მასწავლებელი; სკოლის მიერ გამოვლენილი წლის საუკეთესო მასწავლებელი."

ბ) დანართის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით.

,,4. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო, კერძო და სახელოვნებო სკოლის პედაგოგის ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) სკოლის მოქმედი ან ყოფილი - საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის, ეროვნული ჯილდოს მფლობელი და მენტორი მასწავლებლის ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს - 500 (ხუთასი) ლარით;

ბ) სკოლის მიერ გამოვლენილი, წლის საუკეთესო მასწავლებლის ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს - 300 (სამასი) ლარის ოდენობით."

გ) დანართის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის შემდგომ, დაემატოს მე-5 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით.

,,5. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო, კერძო სკოლის წარმატებული მოსწავლე ახალგაზრდისა და მათი ხელმძღვანელი პედაგოგის დაჯილდოების მიზნით, ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) საქართველოს მასშტაბით ფესტივალ-კონკურსებზე გამარჯვებული 1 ადგილის მფლობელი ინდივიდუალური მონაწილე მოსწავლე /ახალგაზრდის ფულადი ჯილდო - 300 ლარი

ბ) საერთაშორისო მასშტაბით ფესტივალ-კონკურსებზე გამარჯვებული 1 ადგილის მფლობელი, ინდივიდუალური მონაწილე მოსწავლე /ახალგაზრდის ფულადი ჯილდო 500 ლარი

გ) საქართველოს მასშტაბით ფესტივალ-კონკურსებზე გამარჯვებული 1 ადგილის მფლობელი, მოსწავლე/ახალგაზრდების გუნდის ფულადი ჯილდო 500 ლარი

დ) საერთაშორისო მასშტაბით ფესტივალ-კონკურსებზე გამარჯვებული 1 ადგილის მფლობელი, მოსწავლე/ახალგაზრდების გუნდის ფულადი ჯილდო 700 ლარი

ე) საქართველოს მასშტაბით ფესტივალ-კონკურსებზე გამარჯვებული 1 ადგილის მფლობელი, ინდივიდუალური მონაწილის ხელმძღვანელი/პედაგოგის ფულადი ჯილდო 200 ლარი

ვ) საერთაშორისო მასშტაბით ფესტივალ-კონკურსებზე გამარჯვებული 1 ადგილის მფლობელი, ინდივიდუალური მონაწილის ხელმძღვანელი/პედაგოგის ფულადი ჯილდო 300 ლარი

ზ) საქართველოს მასშტაბით ფესტივალ-კონკურსებზე გამარჯვებული 1 ადგილის მფლობელი, გუნდის ხელმძღვანელი/პედაგოგის ფულადი ჯილდო 200 ლარი

თ) საერთაშორისო მასშტაბით ფესტივალ-კონკურსებზე გამარჯვებული 1 ადგილის მფლობელი, გუნდის ხელმძღვანელი/პედაგოგის ფულადი ჯილდო 300 ლარი.“

დ) დანართის მე-10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით.

,,მუხლი 10. ჯილდოს გაცემის წესი

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო, საქართველოსა და რეგიონის მასშტაბით ჩატარებული საგანმანათლებლო, კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული კონკურსებისა და ფესტივალების მონაწილეთა დაჯილდოება განხორციელდეს, ამ წესისა და შესაბამისი ღონისძიების დებულების მიხედვით.

2. შესაბამისი პირის/დაწესებულების მომართვას ჯილდოს გაცემის თაობაზე განიხილავს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური. ამ გაცემის წესითა და შესაბამისი ღონისძიების დებულებით გათვალისწინებული ნომინაციების შეუსაბამობის შემთხვევაში, იღებს გადაწყვეტილებას საპრიზო ადგილის შესაბამისი ჯილდოს განსაზღვრის თაობაზე და დასკვნას წარუდგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას ჯილდოს გაცემის თაობაზე.

3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების მედალოსნების, ერთიან ეროვნულ და სამაგისტრო გამოცდებზე ასპროცენტიანი გრანტის მფლობელი წარმატებული ახალგაზრდების დაჯილდოების მიზნით, განაცხადის შემოტანის პერიოდი განისაზღვროს დადასტურებული ფაქტიდან ერთი წლის განმავლობაში.

4. ამ წესით განსაზღვრული ფულადი ჯილდოს გაცემა მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ საბანკო ანგარიშზე, საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი გადასახადის გათვალისწინებით.“

საკრებულოს წევრმა **ირმა მგელაძემ** პირველ რიგში დამსწრე საზოგადოებას მიულოცა ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიხიჭება და აღნიშნა, რომ ეს შეუქცევადი პროცესია და როგორი მთავრობაც არ უნდა მოვიდეს, პროცესს უკან ვერ დახევს. ამის შემდეგ აღნიშნა, რომ საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სხდომაზე საკითხის ირგვლივ დაისვა გარკვეული კითხვები, რაზეც ვერ მიიღეს ამომწურავი პასუხები. კერძოდ, რა კრიტერიუმით მოხდება დასაჯილდოებელ პედაგოგთა შერჩევა, რადგან ადგილი ჰქონდა ფაქტს, როდესაც ლანჩხუთიდან თბილისში ჩასული ახალგაზრდა მასწავლებლების გარკვეული რაოდენობა დაჯილდოების ცერემონიაზე არ შეუშვეს. გარდა ამისა, აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტში შეიქმნა შპს ,,ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრი“ და ასევე, მერიის სამსახურში ფუნქციონირებს ეკონომიკისა და საინვესტიციო პროექტების განყოფილება, რაც ნიშნავს, რომ ადგილი აქვს სხვადასხვა თანამშრომლებზე ფუნქციების გაორებას. მას მიზანშეწონილად მიჩნია, რომ მერიის სამსახურებს ჩამოშორდეს ტურიზმი, რის შემდეგ იქნება ერთი შპს ,,ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრი“, რომელიც აღასრულებს ყველა ფუნქციას ტურიზმის კუთხით.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ საკრებულოს წევრი სავარაუდოდ, შეყვანილია შეცდომაში, რადგან ეს არის ეკონომიკისა და საინვესტიციო პროექტების განყოფილება, სადაც გათვალისწინებული იყო ერთი თანამშრომელი ტურიზმის კუთხით, მაგრამ რეორგანიზაციის შედეგად, საკრებულოს თანხმობით ერთი საშტატო ერთეული გადავიდა მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურში, რომელიც კოორდინაციას გაუწევს და იქნება უშუალო კავშირში მერიიდან შპს ,,ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრთან“ მიმართებაში. რაც შეეხება პედაგოგების დაჯილდოებას, შერჩევა მუნიციპალიტეტის მიერ არ ხდება, ეს დაიწყეს სკოლებმა და როგორც მისთვისაა, ცნობილი ეს წელი იყო საპილოტე. წლის განმავლობაში სკოლაში შეირჩევა წლის საუკეთესო პედაგოგი, რომელსაც თავის მხრივ, მუნიციპალიტეტი დააჯილდოებს სიგელით და 300 ლარით. ეს იყო მერის პირველი მოადგილის ეკა გუჯაბიძის ინიციატივა, რომ წარმატებული მასწავლებლები დაეჯილდოებინათ გარკვეული ფინანსური კუთხით. საჯარო სკოლების გარდა გათვალისწინებულია სასულიერო გიმნაზია, მაგრამ არა კოლეჯი. მუნიციპალიტეტის მერისთვის არაფერია ცნობილი, თუ რა მოხდა დაჯილდოების ცერემონიაზე. სკოლებს უნდა წარედგინათ რჩეული პედაგოგები, რომლებიც იყვნენ თბილისში დასაჯილდოებელთა სიაში.

მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა **პაატა ურუშაძემ** განმარტა, რომ დაჯილდოებას ექვემდებარება 25 სკოლიდან ერთი პედაგოგი, სადაც სასკოლო სისტემაა, ამიტომ კოლეჯი არ არის გათვალისწინებული.

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილემ **გიორგი გოგუაძემ** აღნიშნა, რომ სკოლაში განათლების და მეცნიერების სამინისტროს არის შენობა და სასწავლო პროცესი, დანარჩენი ყველაფერი მუნიციპალიტეტისაა.

საკრებულოს წევრმა **ირმა მგელაძემ** აღნიშნა, რომ ნამდვილად მისასალმებელია მუნიციპალიტეტში კოლეჯის გახსნა, სადაც არაჩვეულებრივი გარემოა შექმნილი. მისი წინადადებაა, რომ მაშინ, როცა, დაჯილდოებას ექვემდებარება მუნიციპალიტეტის მთელი მასშტაბით საგანმანათლებლო სისტემა, ძალიან კარგი იქნება, თუ ერთი პედაგოგი კოლეჯიდანაც დაემატება.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი.
მომხრე საკრებულოს 17 წევრი, წინააღმდეგი საკრებულოს 3 წევრი (გიორგი გოგუაძე, ირმა მგელაძე, გივი ცინცაძე).
მიღებულ იქნა დადგენილება N29 (22.12.2023).

დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ **ვერიკო კვირკველიამ.** მისი განმარტებით, ცვლილება განისაზღვრა შემდეგნაირად:

მუხლი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის N30 დადგენილების (ვებგვერდი, 02/10/2017 წელი, სარეგისტრაციო კოდი: **010250050.35.112.016312**) მეორე მუხლით დამტკიცებულ დანართში „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულება“-ში შევიდეს ცვლილება და მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი რედაქციით მე-31 პუნქტი:

„31. საბჭოს წევრის მიერ სხდომის ზედიზედ ორჯერ არასაპატიო მიზეზით დაუსწრებლობის შემთხვევაში წევრს, საბჭოს თავმჯდომარის წარდგინების საფუძველზე საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით შეუწყდება საბჭოს წევრობის უფლებამოსილება.“

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი.
მომხრე საკრებულოს 20 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა დადგენილება N30 (22.12.2023).

დღის წესრიგის მეთორმეტე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ღონისძიებათა 2024 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ **ვერიკო კვირკველიამ.** მისი განმარტებით, წინა წლების სამოქმედო გეგმა შედარებით ზოგადი ხასიათის იყო. ამჟამად წარმოდგენილ პროექტში საკმაოდ კონკრეტულად არის გაწერილი ყველა ის ნაბიჯი თუ ღონისძიება, რომლის გატარებაც იგეგმება 2024 წლის განმავლობაში.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და

წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი.
მომხრე საკრებულოს 20 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N85 (22.12.2023).

დღის წესრიგის მეცამეტე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ **ვერიკო კვირკველიამ.**

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი.
მომხრე საკრებულოს 20 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N86 (22.12.2023).

დღის წესრიგის მეთოთხმეტე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების გეგმის (2024 -2027) დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ ისაუბრა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მთავარ სტრატეგიულ დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს მისი სოციალური და ეკონომიკური განვითარების ძირითად გამოწვევებს და მიმართულებებს. დოკუმენტი ასახავს ადგილობრივი თვითმმართველობის მთავარ პრიორიტეტებს, მიზნებს, ამოცანებს და მათი მიღწევის კონკრეტულ საშუალებებს მომდევნო 4 წლის განმავლობაში.

დოკუმენტის შემუშავების პროცესის ინიციატორი იყო მუნიციპალიტეტის მერი, რომელმაც ჩამოაყალიბა მის შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი. სამუშაო ჯგუფმა იხელმძღვანელა საქართველოს მთავრობის 264-ე განკარგულებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შედგენის პრაქტიკული სახელმძღვანელო“ მეთოდოლოგიით. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობის განსაზღვრისას გათვალისწინებულ იქნა დაინტერესებული მხარეების ჩართულობა დაგეგმვის პროცესში. საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტში გაანალიზებულია სტატისტიკური მონაცემები და განსაზღვრულია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განვითარების გრძელვადიანი ხედვა, სექტორული პრიორიტეტები, მიზნები, ამოცანები და აქტივობები.

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილემ **გიორგი გოგუაძემ** აღნიშნა, რომ მომავალი წლის პირველ სესიაზე მუნიციპალიტეტის მერიამ უნდა წარმოადგინოს ანალოგიური გეგმის შესრულების ანგარიში 2021-2023 წლებთან მიმართებაში.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის წარდგენას აქვს შესაბამისი ვადა, ამიტომ მიზანშეწონილია მუნიციპალიტეტის 2021-2023 წლების საშუალოვადიანი განვითარების გეგმის ანგარიშიც წარმოდგენილი იქნას ერთობლივად.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი.
მომხრე საკრებულოს 16 წევრი, წინააღმდეგი საკრებულოს 4 წევრი (ჯუმბერ ბლაგიძე, გიორგი გოგუაძე, ირმა მგელაძე, გივი ცინცაძე).
მიღებულ იქნა განკარგულება N87 (22.12.2023).

დღის წესრიგის მეთხუთმეტე საკითხი: „მდგრადი განვითარების მიზნების ლანჩხუთის მუნიციპალური დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ ისაუბრა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან განმარტა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (შემდგომში – გაერო) გენერალურმა ასამბლეამ 2015 წლის 25 სექტემბერს

მიიღო A/RES/70/1 რეზოლუცია[1] – „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის“, რომლის განუყოფელი ნაწილია მდგრადი განვითარების 17 მიზანი და 169 ამოცანა“. 2017 წლის 6 ივლისს კი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის A/RES/71/313 რეზოლუციით დადგინდა მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორთა ჩამონათვალი[2]. მდგრადი განვითარების მიზნები მსოფლიოს გარშემო აერთიანებს ქვეყნების ხელისუფლებებსა და მოსახლეობას შემდეგი ღირსეული ამოცანების შესასრულებლად: სიღარიბისა და შიმშილის აღმოფხვრა, ჯანდაცვისა და განათლების სისტემის გაუმჯობესება, თანასწორობის ხელშეწყობა, ქალაქების მდგრადობა, კლიმატის ცვლილებების წინააღმდეგ ბრძოლა, ოკეანეებისა და ტყეების დაცვა, ყველა დონეზე ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუციების მშენებლობა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული გამოწვევებისა და თვითმმართველი ერთეულის კონტექსტის გათვალისწინებით, გაეროს მდგრადი განვითარების 10 მიზანი და 28 ამოცანა განისაზღვრა მუნიციპალურ პრიორიტეტად. მდგრადი განვითარების მიზნების ადგილობრივ დონეზე დანერგვის პროცესში ჩართული იყო მუნიციპალიტეტის მერიის ყველა შესაბამისი სამსახური, მუნიციპალიტეტის საკრებულო და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები.

მდგრადი განვითარების მიზნების მუნიციპალური დოკუმენტი მომზადდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, რომელიც სრულად ეყრდნობა გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის 2015 წლის 25 სექტემბრის A/RES/70/1 და 2017 წლის 7 ივლისის A/RES/71/313 რეზოლუციებს. მისი კომპლექსურობის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებთან, მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან ძჭიდრო თანამშრომლობისა და აქტიური მუშაობის შედეგად, თითოეული ამოცანის შესრულება გაიწერა დროში და დადგინდა 39 ინდიკატორის საბაზისო და სამიზნე მაჩვენებლები (2030). აღნიშნული მიდგომა უნიკალური შესაძლებლობაა მომავალში პროგრესის გაზომვისა და მიზნის შესრულების შეფასების კუთხით.

მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მიერ მომდევნო წლებში დაგეგმილი და განსახორციელებელი აქტივობებისა და გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების თანხვედრის დადგენის მიზნით, განისაზღვრა ურთიერთკავშირი მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტსა და მიზნებს შორის. დოკუმენტის შემუშავების დროს გათვალისწინებულ იქნა ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითადი მიმართულებები და პრიორიტეტები.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი.
მომხრე საკრებულოს 16 წევრი, წინააღმდეგი საკრებულოს 3 წევრი (გიორგი გოგუაძე, ირმა მგელაძე, გივი ცინცაძე).
მიღებულ იქნა განკარგულება N88 (22.12.2023).

დღის წესრიგის მეთექვსმეტე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური სერვისების სამსახურის უფროსმა **თამარ ფირცხალაიშვილმა.** მისი განმარტებით, წინამდებარე წესი აწესრიგებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტიდან „სოციალური დაცვის“ მუხლში გათვალისწინებული სოციალური დახმარებების დანიშვნასთან და გაცემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს სოციალური დახმარებების დანიშვნასა და გაცემაზე უფლებამოსილ სტრუქტურულ ერთეულს, ადგენს სოციალური დახმარების სახეებს, მათი დანიშვნისა და გაცემის ძირითად სახელმძღვანელო პრინციპებს.

მუხლი 1. ფულადი სოციალური დახმარების სახეები:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაცემას ექვემდებარება შემდეგი

ფულადი სოციალური დახმარებები:

ა) ბიკარბონატული ჰემოდიალეზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 01)

ბ) მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 02)

გ) სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა;(პროგრამის კოდი 06 02 03)

დ) ცენტრ ,,იავნანას" თანადაფინანსების პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 04)

ე) მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 05)

ვ) მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 06)

ზ) იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 07)

თ) ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 08)

ი) მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 09)

კ) ლანჩხუთის რეგიონული ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბის" სარეაბილიტაციო პროგრამა ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალებისათვის. (პროგრამის კოდი 06 02 10)

ლ) ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა. (პროგრამის კოდი 06 02 11)

მ) მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 12)

ნ) უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა.(პროგრამის კოდი 06 02 13)

ო) ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა. (პროგრამის კოდი 06 02 14)

პ) შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა. (პროგრამის კოდი 06 02 16)

ჟ) ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/ აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა (პროგრამის კოდი 06 02 17)

რ) გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა. (პროგრამის კოდი 06 02 18)

ს) სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების დახმარების პროგრამა. (პროგრამის კოდი 06 02 19)

ტ) მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებს, რომელთა რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება განხორციელდება ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამა. (პროგრამის კოდი 06 02 20).

უ) 0-დან 18 წლამდე დედ-მამით ობოლი ბავშვებს და შშმ ბავშვებს რომელიც არის ობოლი ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა. (პროგრამის კოდი 06 02 21).

ფ) ცელიაკიით დაავადებულთა (18 წლამდე ასაკის) კვებითი დანამატებით უზრუნველყოფის პროგრამა. (პროგრამის კოდი 06 02 22).

ქ) აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა. (პროგრამის კოდი 06 02 23).

ღ) რისკის ქვეშ მყოფი 0- დან 18 წლამდე ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების პროგრამა. (პროგრამის კოდი 06 02 25).

მუხლი 2. სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის ორგანიზებაზე პასუხისმგებელი უწყება

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დაცვის ღონისძიებათა

მუნიციპალური პროგრამით გათვალისწინებული სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის ორგანიზებას უზრუნველყოფს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური სერვისების სამსახური (შემდგომში – სამსახური).

მუხლი 3. ბენეფიციარის მიერ სოციალური დახმარების დასანიშნად ან მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის წარდგენა

1. სოციალური დახმარების დასანიშნად ან მისაღებად დაინტერესებული პირი წერილობითი განცხადებით მიმართავს და შესაბამის დოკუმენტაციას წარუდგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას დახმარების დანიშვნის ან მიღების თაობაზე მარტივი ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

2. მერიაში შემოსული ყველა განცხადება თანდართული დოკუმენტაციით შესასწავლად ეგზავნება შესაბამის სამსახურს.

3. მერიის შესაბამისი სამსახური უზრუნველყოფს სოციალური დახმარების მიღების თაობაზე საკითხის განსახილველად მომზადებასა და გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო სხვა პროცედურების განხორციელებას.

4. სოფლებში მცხოვრებ მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურების პროგრამის ფარგლებში, ა(ა)იპ ლანჩხუთის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. პროგრამის განხორციელების აუცილებლობას შეისწავლის მერიის შესაბამისი სამსახური და დასკვნას წარუდგენს მუნიციპალიტეტის მერს.

მუხლი 4. ბენეფიციარის მიერ სოციალური დახმარების დასანიშნად ან მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა

კონკრეტული სოციალური პროგრამიდან დახმარების დასანიშნად ან მისაღებად დაინტერესებულმა პირმა განცხადებას უნდა დაურთოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) ბიკარბონატული ჰემოდიალეზით – თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა – განცხადება, ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა №100, ბენეფიციარის ან ოჯახის წევრის საბანკო ანგარიში და პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;

ბ) მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა – განცხადება, მშობლების პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი, ბავშვების დაბადების მოწმობების ასლები, მშობლების ქორწინების მოწმობის ასლი, ერთ-ერთი მშობლის საბანკო ანგარიში და სოციალური სააგენტოდან სარეიტინგო ქულის ამონაწერი ან ცნობა რომ ოჯახი არ არის დარეგისტრირებული სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში;

გ) სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა – ბენეფიციარმა ან მისმა ოჯახის წევრმა მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს: განცხადება; სამკურნალო დაწესებულების ანგარიშფაქტურა/ კალკულაცია; განმცხადებლის (პაციენტის) პირადობის მოწმობის ასლი (სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი); ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან სარეიტინგო ქულის შესახებ; ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა 100,); ცნობა დაზღვევის ფარგლებში დაფინანსების ოდენობის ან დაფინანსებაზე უარის თქმის შესახებ; ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, სამედიცინო დაწესებულების შესაბამის ანგარიშზე, გაწეული სამედიცინო მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ; ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როგორიცაა სასწრაფო (გადაუდებელი) სამედიცინო ოპერაციების, სასწრაფო (გადაუდებელი) ქიმიოთერაპიის და სხივური თერაპიის თანადაფინანსება, სასწრაფო -გადაუდებელი მაგნიტო- რეზონანსული ტომოგრაფიების, კომპიუტერული ტომოგრაფიების, ანგიოგრაფიული კვლევის, პოზიტრონულ-ემისიური ტომოგრაფიის (PET/KT) და ბიოფსია უნაღდო ანგარიშსწორებით (ინვოისით წარმოდგენილი ასანაზღაურებელი თანხა ღირებულების 50% მაგრამ არაუმეტეს 400 ლარისა) - რომელიც არ ჯდება მერიის თანადაფინანსების პროგრამაში, მერის იხდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით შესაძლებელია განხორციელდეს სარეიტინგო ქულის წარმოდგენის გარეშეც ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და საკრებულოს წევრის შუამდგომლობის საფუძველზე.“

დ) ცენტრ „იავნანას“ თანადაფინანსების პროგრამა – კომუნალური ხარჯების, ჰიგიენისა და ყოველდღიური მოხმარების საგნების თანხის კალკულაციის წარმოდგენა;

ე) მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა-მუნიციპალიტეტის მერსა და ა(ა)იპ ლანჩხუთის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიის პრორექტორს შორის გაფორმებული შეთანხმების აქტი; პრორექტორის მიერ თანხის ყოველთვიური მოთხოვნა;

ვ) მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა – განცხადება, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ცნობა სოციალური სააგენტოდან, რომ არის სოციალურად დაუცველი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე;

ზ) იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა-განცხადება, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, დევნილის მოწმობის ასლი და საბანკო ანგარიში;

თ) ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა- განცხადება, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ცნობა სოციალური სააგენტოდან სარეიტინგო ქულის შესახებ, ვეტერანების დამადასტურებელი მოწმობის ასლი, გარდაცვალების მოწმობის ასლი, საბანკო ანგარიში;

ი) მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა – განცხადება, ცნობა, რომ ბენეფიციარს არ აქვს საცხოვრებელი ფართი, მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის დასკვნა სახლის მდგომარეობის შესახებ, განმცხადებლის და საცხოვრებელი ფართის მეპატრონის პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ფართის მეპატრონის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, ბენეფიციარსა და საცხოვრებელი ფართის მეპატრონეს შორის გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულება და საცხოვრებელი ფართის მეპატრონის საბანკო ანგარიში;

კ) ლანჩხუთის რეგიონული ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ სარეაბილიტაციო პროგრამა ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალებისთვის- ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილ პროგრამებზე გახარჯული თანხის კალკულაციის წარმოდგენა და საბანკო ანგარიში;

ლ) ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა-განცხადება, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ბენეფიციარის საბანკო ანგარიში. გადაწყვეტილება მიიღება მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე;

მ) მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის დახმარების პროგრამა – განცხადება, ბენეფიციარის ან ოჯახის წევრის საბანკო ანგარიში, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის დასკვნა სახლის მდგომარეობის შესახებ, შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და მაჟორიტარი დეპუტატის (საკრებულოს წევრის) შუამდგომლობა; „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ ოჯახისთვის მინიჭებული სარეიტინგო ქულის ამონაწერი; სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ გაცემული შესაბამისი მიმართვა (ასლი) ან ცნობა; ბენეფიციარის საბანკო ანგარიში. გადაწყვეტილება მიიღება მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე კომისიის წინადადების გათვალისწინებით.

ნ) უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა-განცხადება, მერის წარმომადგენლისა და მაჟორიტარი დეპუტატის(საკრებულოს წევრის) შუამდგომლობა; გარდაცვალების მოწმობის ასლი, საბანკო ანგარიში. გადაწყვეტილება მიიღება მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე;

ო) ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა – განცხადება, განმცხადებლის (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ან პასპორტის, ბენეფიციარის საბანკო ანგარიში, შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და მაჟორიტარი დეპუტატის (საკრებულოს წევრის) შუამდგომლობა; მარტოხელა მშობლის

სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი. „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ ოჯახისთვის მინიჭებული სარეიტინგო ქულის ამონაწერი; გადაწყვეტილება მიიღება მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე;

პ) შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა – განმცხადებლის (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი (სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან (ფორმა № IV-100/ა) სამკურნალო დაწესებულების ანგარიშ-ფაქტურა. თანხა ჩაირიცხება შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების საბანკო ანგარიშზე, წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის შესაბამისად. მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე;

ჟ) ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/ აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა – ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობის პროგრამის შემთხვევაში პირის კანონიერი წარმომადგენლის/მინდობით აღმზრდელის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი) ასლი; კანონიერი წარმომადგენლობის შემთხვევაში – დამადასტურებელი საბუთი და მისი ასლი, მინდობით აღმზრდელის შემთხვევაში – მინდობით აღზრდის ხელშეკრულების ასლი; ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი (სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა №100 სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ გაცემული შესაბამისი მიმართვა. მომსახურების მომწოდებელი ორგანიზაციის მომართვა ან ცნობა თვის განმავლობაში ბენეფიციარზე გაწეული მომსახურების რაოდენობის შესახებ. რომლის შესაბამისად მოხდება მომსახურების მომწოდებელი ორგანიზაციისთვის და ბავშვებისთვის ტრანსპორტირების ხარჯის ანაზღაურება. ბავშვის უფლებამოსილი წარმომადგენლის საბანკო ანგარიში. ბავშვთა რეაბილიტაცია/ აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების შემთხვევაში – პირის კანონიერი წარმომადგენლის/ მინდობით აღმზრდელის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი) ასლი; კანონიერი წარმომადგენლობის შემთხვევაში – დამადასტურებელი საბუთი და მისი ასლი, მინდობით აღმზრდელის შემთხვევაში – მინდობით აღზრდის ხელშეკრულების ასლი; ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი (სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა №100. ბავშვის უფლებამოსილი წარმომადგენლის საბანკო ანგარიში, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ გაცემული შესაბამისი მიმართვა. მომსახურების მომწოდებელი ორგანიზაციის მომართვა თვის განმავლობაში ბენეფიციარზე გაწეული მომსახურების რაოდენობის შესახებ, რომლის შესაბამისად მოხდება შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების ხარჯის ანაზღაურება. თანხა ჩაირიცხება ბენეფიციარის უფლებამოსილი წარმომადგენლის საბანკო ანგარიშზე. გადაწყვეტილება მიიღება მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე;

რ) გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობის პროგრამა- განმცხადებლის (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი ძალადობის მსხვერპლის სტატუსის დოკუმენტი, ბენეფიციარის საბანკო ანგარიში, გადაწყვეტილება მიიღება მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე კომისიის წინადადების გათვალისწინებით;

ს) სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების დახმარების პროგრამა- განმცხადებლის (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი; ბენეფიციარის საბანკო ანგარიში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გურიის სამხარეო ცენტრის ლანჩხუთის რაიონული განყოფილების მიერ გაცემული შესაბამისი მიმართვა ან ცნობა. გადაწყვეტილება მიიღება მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე კომისიის წინადადების გათვალისწინებით;

ტ) მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებს, რომელთა რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება განხორციელდება ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამა- ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის განცხადება, განმცხადებლის (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ გაცემული შესაბამისი მიმართვა ან ცნობა. ბავშვის უფლებამოსილი წარმომადგენლის საბანკო ანგარიში, თანხა ჩაირიცხება

ბენეფიციარის უფლებამოსილი წარმომადგენლის საბანკო ანგარიშზე. გადაწყვეტილება მიიღება მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე კომისიის წინადადების გათვალისწინებით;

უ) 0-დან 18 წლამდე დედ-მამით ობოლი ბავშვებს და შშმ ბავშვებს რომელიც არის ობოლი ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა- ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის განცხადება, განმცხადებლის (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ გაცემული შესაბამისი მიმართვა ან ცნობა. ბავშვის უფლებამოსილი წარმომადგენლის საბანკო ანგარიში, თანხა ჩაირიცხება ბენეფიციარის უფლებამოსილი წარმომადგენლის საბანკო ანგარიშზე. გადაწყვეტილება მიიღება მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე;

ფ) ცელიაკიით დაავადებულთა (18 წლამდე ასაკის) კვებითი დანამატებით უზრუნველყოფის პროგრამა- ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის განცხადება, განმცხადებლის (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი, ბავშვის უფლებამოსილი წარმომადგენლის საბანკო ანგარიში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, ჯანმრთელობის ფორმა №100/ა და ანგარიშფაქტურა საქართველოში განთავსებული შესაბამისი სააფთიაქო დაწესებულებიდან. თანხა ჩაირიცხება ბენეფიციარის უფლებამოსილი წარმომადგენლის საბანკო ანგარიშზე. გადაწყვეტილება მიიღება მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე;

ქ) აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა. პროგრამის მოსარგებლეები არიან დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) მიხედვით განვითარების ზოგადი აშლილობების ჯგუფის (F84.0-დან F84.9-ის) დიაგნოზის მქონე 2-დან 18 წლის ასაკის ჩათვლით, ასევე პროგრამის მოსარგებლეები არიან (R62.0) განვითარების ეტაპების დაყოვნების დიაგნოზის მქონე 0-დან 2 წლამდე საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ამავდროულად ქვეპროგრამაში ჩართვის მომენტისათვის არიან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტებში რეგისტრირებულნი; პროგრამაში ჩართვისთვის ბავშვის მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა პროგრამაში ჩართვის განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია: მოსარგებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (დაბადების მოწმობა, პასპორტი, იძულებით გადაადგილებული პირის მოწმობა) ასლი; მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი) ასლი, კანონიერი წარმომადგენლის შემთხვევაში – აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), მინდობით აღმზრდელის შემთხვევაში – მინდობით აღზრდის ხელშეკრულების ასლი; ბავშვთა ფსიქიატრის მიერ გაცემული მოსარგებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (ფორმა №IV-100/ა), რომელშიც მითითებული უნდა იყოს პირის ძირითადი დიაგნოზი და დიაგნოსტიკისთვის აუცილებელი, სულ მცირე, ADOS ტესტირების შედეგი; შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). რეაბილიტაციური სერვისის განხორციელების საჭირო ხარჯი დაფინანსდება მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში, რომელიც შესრულებული სამუშაო კალკულაციის შესაბამისად გადაირიცხება შემსრულებელი ორგანიზაციის ანგარიშზე;

ღ) რისკის ქვეშ მყოფი 0- დან 18 წლამდე ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების პროგრამა- ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის განცხადება, განმცხადებლის (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ბავშვის/ბავშვების დაბადების მოწმობის ასლი. გადაწყვეტილება ასეთ ოჯახებზე ფინანსური დახმარების გაწევის მიზანშეწონილობის შესახებ მიიღება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შექმნილი კომისიის მიერ. თანხა გაიცემა მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ბენეფიციარზე დადგენილი საჭიროებებიდან გამომდინარე.

შენიშვნა: ამ მუხლის ქ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაცია უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

1) შესაბამისი მომსახურების მიწოდებისთვის ორგანიზაციას უნდა ჰყავდეს ქცევითი თერაპევტი;

2) ქცევითი თერაპევტის (10 მოსარგებლეზე, არანაკლებ, 1 თერაპევტის) ყოლა, რომელიც არის ბავშვის ქცევითი აშლილობების მართვის უნარ – ჩვევების მქონე დიპლომირებული სპეციალისტი ფსიქოლოგიაში და გავლილი აქვს გამოყენებითი ქცევითი ანალიზის

ბაზისური მომზადების კურსი, რაც დასტურდება სერტიფიკატით ან/და შესაბამისი დოკუმენტით;

3) აუცილებელია, ყოველ 5 ქცევით თერაპევტზე ჰყავდეს ფსიქოლოგიის მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხის მქონე ერთი ქცევითი თერაპევტი, რომელსაც შეუძლია: ბავშვის/ მოზარდის უნარების შეფასება/გადაფასება შესაბამისი საერთაშორისო მეთოდოლოგიის გამოყენებით (ინსტრუმენტები: ABLLS,VB-MAPP და სხვა); ინდივიდუალური თერაპიული პროგრამის შედგენა; აქვს აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვებთან დამოუკიდებლად მუშაობის, სულ მცირე, 2 წლის გამოცდილება;

4) უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით (თითოეული მოსარგებლისთვის ერთი-ერთზე სერვისის განსახორციელებლად). ქ. ლანჩხუთში მიმღებ ოჯახში განთავსებული სახელმწიფო ზრუნვაში მყოფ ბავშვებზე არ გავრცელდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრაციის ვალდებულების ჩანაწერი.

მუხლი 5. განცხადებების განხილვა

1. მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულ განცხადებებს განიხილავს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური და საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში სამსახურის მიერ მომზადებული ბრძანების პროექტის საფუძველზე მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით) გაიცემა სოციალური დახმარებები.

2. დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის „მ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პროგრამებიდან დახმარებების გაცემის მიზნით მუნიციპალიტეტის მერის მიერ მერის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე იქმნება კომისია რომლის შემადგენლობაში შედის: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი; ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე; მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის უფროსი; მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი; მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი; მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების სპეციალისტი და საკრებულოდან მოწვევით - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით და არის სარეკომენდაციო ხასიათის. კომისია უფლებამოსილია შეიკრიბოს თვეში ერთხელ მაინც. კომისიის ოქმის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით) გაიცემა სოციალური დახმარებები.

3. დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის ”რ“ „ს“; „ტ“; ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პროგრამებიდან დახმარებების გაცემის მიზნით მუნიციპალიტეტის მერის მიერ მერის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე იქმნება კომისია რომლის შემადგენლობაში შედის: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი; ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე; მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის უფროსი; მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი; მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი და საკრებულოდან მოწვევით - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით და არის სარეკომენდაციო ხასიათის. კომისია უფლებამოსილია შეიკრიბოს თვეში ერთხელ მაინც. კომისიის ოქმის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით) გაიცემა სოციალური დახმარებები

4. დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის „ღ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პროგრამიდან დახმარების გაცემის მიზნით მუნიციპალიტეტის მერის მიერ მერის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე იქმნება კომისია რომლის შემადგენლობაში შედის: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი; ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე; მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის უფროსი; მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი; მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი; მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის

განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი და საკრებულოდან მოწვევით - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით და არის სარეკომენდაციო ხასიათის. კომისია უფლებამოსილია შეიკრიბოს თვეში ერთხელ მაინც. კომისიის ოქმის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით) გაიცემა სოციალური დახმარებები

მუხლი 6. სამსახურის მიერ დასკვნის მომზადება

1. სამსახური სოციალური დახმარების გაცემის საკითხის განხილვისას ხელმძღვანელობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 თავით გათვალისწინებული მარტივი ადმინისტრაციული წარმოებით.

2. სამსახური უზრუნველყოფს ყოველთვიური დახმარების მიმღებთა ოჯახებში მომხდარი ცვლილებების სისტემატურ შემოწმებას და ამზადებს დასკვნას ბენეფიციართა საქმეში შესაბამისი შესწორებების შეტანის თაობაზე (დახმარების დანიშვნის გაუქმება, შეწყვეტა, აღდგენა). ცვლილებებში იგულისხმება ბენეფიციართა ახალი ოჯახების გამოვლენა ან გაუქმება, ოჯახის წევრთა მატება-კლება, ბავშვების სრულწლოვანების დადგენა, სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებით თავშესაფრით უზრუნველყოფა და ა.შ.

3. სამსახური, ა(ა)იპ ლანჩხუთის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიასთან ერთად სასწავლო წლის დასაწყისში მოიპოვებს ინფორმაციას სკოლის ფინანსური მდგომარეობის თაობაზე და პროგრამის გაგრძელების შესახებ დასკვნას წარუდგენს მუნიციპალიტეტის მერს.

მუხლი 7. სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება

1. სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ხდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ, რომელიც გამოსცემს შესაბამის ბრძანებას.

2. მერის ბრძანებით განისაზღვრება ბენეფიციართა პერსონალური შემადგენლობა და ინიშნება სოციალური დახმარება.

3. სოფლებში მცხოვრებ მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურების პროგრამის შემთხვევაში პროგრამის განხორციელების მიზნით ტრანსპორტირების თანხა სკოლას გადაერიცხება ა(ა)იპ ლანჩხუთის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიის პრორექტორის მოთხოვნის საფუძველზე.

4. გადაუდებელ შემთხვევაში, როდესაც აუცილებელია წინამდებარე წესის 1-ლი მუხლის „მ“ ; „რ“ და „ღ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დახმარების გაცემა, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება სავალალო შედეგები გამოიწვიოს, დახმარება შეიძლება გაიცეს კომისიის ოქმის გარეშეც, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით.

მუხლი 8. ფულადი დახმარების გაცემა

1. სოციალური დახმარების გაცემა ხდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე.

2. მერის ბრძანების ასლი, რომლითაც დამტკიცებულია ბენეფიციართა პერსონალური შემადგენლობა და დანიშნულია სოციალური დახმარება, იგზავნება მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურში.

3. სოციალური დახმარების გაცემას ახდენს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური უნაღდო ანგარიშსწორების გზით.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი.

მომხრე საკრებულოს 17 წევრი, წინააღმდეგი საკრებულოს 3 წევრი (გიორგი გოგუაძე, ირმა მგელაძე, გივი ცინცაძე).
მიღებულ იქნა განკარგულება N89 (22.12.2023).

დღის წესრიგის მეჩვიდმეტე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა **ვარდენ კვაჭაძემ.** მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, განცხადებით (N: 07-302334749-30 თარიღი: 13.12.2023) მომართა სსიპ ,,საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატის“, (ს/ნ 204852775) გენერალური დირექტორის მოადგილემ, მაგდა ბოლოთაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიასა და სსიპ ,,საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატას“ შორის გაფორმებულ 2023 წლის 31 იანვრის N2 იჯარის ხელშეკრულებას (ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სარგებლობის უფლებით გადაცემული უძრავი ქონება - ქ.

ლანჩხუთში, ნინოშვილის ქ. N37-ში მდებარე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობა - ნაგებობის მეორე სართულზე მდებარე N1 ფართი - 26.51 კვ.მ. (ს/კ 27.06.52.141.01/503)) მოქმედების ვადა ეწურება. მან ითხოვა აღნიშნული ფართის, 2024 წლის 1 იანვრიდან - 31 დეკემბრის ჩათვლით, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემა.

მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა, რომ სსიპ ,,საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატას“, მის მიერ მოთხოვნილი ქონება გადაეცეს პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით. სამსახურმა ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის 669 დადგენილების 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის

შესაბამისად, სარგებლობის უფლებით გადასაცემი უძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურიდან 19526 ლარიდან, 10%-ის ოდენობით განსაზღვრა უძრავი ქონების წლიური ქირის ოდენობა, რომელმაც შეადგინა 1952.6 ლარი.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი.
მომხრე საკრებულოს 19 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N90 (22.12.2023).

დღის წესრიგის მეთვრამეტე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო წლიური ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ. მან მან აღნიშნა, რომ საკრებულოს მუშაობა და მისი უფლებამოსილებები განსაზღვრულია საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“. კანონით განსაზღვრული ვალდებულების გარდა, მისი, როგორც საკრებულოს თავმჯდომარის ინტერესს წარმოადგენს, საზოგადოებას გააცნოს საანგარიშო პერიოდში საკრებულოს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ დეტალური ანგარიში.

პირველივე დღიდან საკრებულოს თავმჯდომარეს და მოსახლეობის უმრავლესობის მიერ არჩეულ მერს შორის ჩამოყალიბდა მეგობრული, საქმიანი, კოლეგიალური ურთიერთობა, ერთიანი ძალებით და კოორდინაციით, ოპერატიულად ცდილობენ მუნიციპალიტეტის თითოეული მოქალაქის პრობლემის მოსაგვარებლად ქმედითი ღონისძიებების გატარებას. ასევე კოლეგიური ურთიერთობა ჩამოუყალიბდათ მერიის შესაბამის სამსახურებს და დარგობრივ კომისიებს. თითოეული საკითხი მუშავდება და ერთობლივად ხდება შესაბამისი პრობლემის მოსაგვარებლად მსჯელობა და გამოსავლის ძიება.

რაც შეეხება უშუალოდ საკრებულოს, როგორც წარმომადგენლობითი ორგანოს მუშაობას, აღსანიშნავია, რომ მისი მუშაობის ორგანიზების მიზნით შექმნილია საკრებულოს ბიურო, რომელიც შედგება 12 წევრისგან. ხოლო, საკრებულოში საკითხის წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისთვის ხელის შეწყობის, მერიის, მისი სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლის მიზნით, შექმნილია საკრებულოს კომისიები. თითოეული კომისია მაღალი მოტივაციითა და გუნდური მუშაობით არის მოტივირებული, რათა დროულად იქნას შესწავლილი მთელი რიგი პრობლემატური საკითხები.

დღესდღეობით საკრებულოში მუშაობს შემდეგი მუდმივმოქმედი კომისიები:

1. იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია - თავმჯდომარე გიორგი ხელაძე;

2. საფინანსო-საბიუჯეტო კომისია - თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე;

3. ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია - თავმჯდომარე ზაზა წულაძე;

4. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია - თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი;

5. სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია - თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი.

საანგარიშო პერიოდში გაიმართა: > საკრებულოს 15 (მათ შორის 4 რიგგარეშე), ხოლო ბიუროს 11 სხდომა;

იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის 13 სხდომა;

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 9 სხდომა;

ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის 12 სხდომა;

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 6 სხდომა; სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 8 სხდომა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გარდა კომისიებისა, დაფუძნებულია ასევე ფრაქციები, რომლებიც წარმოადგენენ საერთო პოლიტიკური შეხედულების მქონე საკრებულოს წევრთა ნებაყოფლობით გაერთიანებას. ისინი ჩართულნი არიან სხვადასხვა პროექტის განხილვაში.

საკრებულოში მოქმედებს სამი ფრაქცია. ესენია: 1. „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, სადაც საკრებულოს 18 წევრია გაერთიანებული; 2 . „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, სადაც 4 დეპუტატია; 3. „ლანჩხუთი - საქართველოსთვის“ - 3 წევრით. 2 დეპუტატი კი არც ერთ ფრაქციაში არ არის გაწევრიანებული.

საანგარიშო პერიოდში გაიმართა:

ფრაქცია - „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ - 11 სხდომა:

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ - 10 სხდომა:

ფრაქცია „ლანჩხუთი - საქართველოსთვის“ - 8 სხდომა.

სანამ კომისიების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ უფრო დეტალურად ისაუბრებდა, საკრებულოს თავმჯდომარემ, შეეხო იმ სტიქიური უბედურებას, რომელიც მუნიციპალიტეტს 2023 წლის 8 სექტემბერს დაატყდა. ასეულობით ოჯახი დაიმეწყრა და მათ საცხოვრებელ სახლებს შეექმნა საფრთხე. სამწუხაროდ იყო მსხვერპლი.

ხელისუფლების მყისიერი მოქმედების შედეგად დროულად მოხდა ადამიანების

გამოყვანა სტიქიის ზონიდან და უსაფრთხო ადგილზე დაბინავება. მაჟორიტარი და საკრებულოს წევრები სტიქიის პირველივე წუთებიდან ეპიცენტრში იმყოფებოდნენ და ადგილზე ეცნობოდნენ მდგომარეობას.

ჯერ კიდევ მიმდინარეობს ზარალის დათვლა და აღწერა.

ცენტრალური ხელისუფლების აქტიური მხარდაჭერით და დახმარებით არც ერთი ოჯახი არ დარჩენილა და არ დარჩება უყურადღებოდ. ყველა ოჯახს, სადაც ცხოვრება შეუძლებელია, მიეცემა შესაბამისი კომპენსაცია-დახმარება.

ამის შემდეგ, საკრებულოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკრებულო, როგორც წარმომადგენლობითი ორგანო, უზრუნველყოფს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შემუშავებას, განხილვასა და მიღებას.

ანგარიშის ფარგლებში აღნიშვნის ღირსია რიგი ნორმატიული აქტები, რომელიც წარმოადგენს წინ გადადგმულ ნაბიჯს და მათი შემუშავება დადებითად აისახება მუნიციპალიტეტის მოსახლეობაზე.

იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ განხილული იქნა მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფების წინადადებები.

როგორც ცნობილია, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ორგანიზებისა და მისი იდენტურობის განსაზღვრის საკითხებში, საკრებულოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან უფლებამოსილებას წარმოადგენს გეოგრაფიული ობიექტების სახელდება, ხოლო სსიპ საჯარო სკოლისთვის სახელის მინიჭების კუთხით - თანხმობის გაცემა.

კომისიამ 5 გასვლითი შეხვედრა მოაწყო, რომელიც სწორედ სახელდებას ეხებოდა.

იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის მხარდაჭერით მოხდა შემდეგი სახელდების მინიჭება:

- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ლესის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჭინათში არსებული ქუჩას მიენიჭა თამაზ გოგიჩაიშვილის სახელი.

- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის წინ არსებული სკვერისთვის- ზურაბ თავართქილაძის.

- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში ზაზა სულაბერიძის სახელობის საჯარო სკოლის მიმდებარედ არსებული სკვერისთვის- ჩიბათელი მხედრების.

- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გვიმბალაურის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჯუნეწერში არსებული სკვერისთვის-საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული - ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენოსანი, დავით ბოლქვაძის.

- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფელ გრიგოლეთში (#1, #2) ცენტრალური ქუჩისთვის წმინდა გრიგოლის.

- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფლებში მდებარე უსახელო ქუჩების არაბული ციფრებით სახელდება.
- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის აკეთის ადმინისტრაციული ერთეულის სსიპ აკეთის საჯარო სკოლისთვის ზაზა ჩხაიძის.
- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში ქუჩისთვის ამბროსი აფხაზავას.
- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კურორტ გრიგოლეთის პირველი ქუჩისთვის წმ. გრიგოლის.
- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ნიგვზიანის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ არჩეულში არსებული ქუჩისთვის თამაზ ტყეშელაშვილის.

- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ღრმაღელის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ წყალწმინდის საჯარო სკოლისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული, ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანი, დავით რამიშვილის.

- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ღრმაღელის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ წყალწმინდის #5 ქუჩისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული ნიკა იმნაძის.

- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ღრმაღელის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ წყალწმინდის #2 ქუჩისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული პაატა პაპიძის.

აქტიურად მიმდინარეობს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კურორტ გრიგოლეთის მე-2 და მე-6 ქუჩისთვის ნოდარ დუმბაძის სახელი მინიჭებაზე მუშაობა.

- რაც შეეხება საფინანსო-საბიუჯეტო სფეროს და მიმდინარე, 2023 წლის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესახებ დადგენილებას, ის საკრებულოს სხდომაზე 2022 წლის 22 დეკემბერს #37 დადგენილებით დამტკიცდა და განისაზღვრა 19 757 700 ლარით. ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრა 17 131 500 ლარით, აქედან შემოსავლები 17 021 000 ლარი, მათ შორის: საკუთარი შემოსავლები 15 121 000 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან- 1 900 000 ლარი. ბიუჯეტში განხორციელდა 4 ცვლილება და დღეის მდგომარეობით მისი მოცულობა განისაზღვრა 36 884 900 ლარით, რაც მნიშვნელოვნად აღემატება 2022 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლებს.

მიმდინარე წლის პირველი ნოემბრის მდგომარეობით ბიუჯეტში შემოსულობები მობილიზებულია 26 725 139 ლარი (გეგმის 83,7%), მათ შორის შემოსავლები (კაპიტალურის ჩათვლით) – 14 364 602 ლარი (გეგმის 88,2%-ი), გრანტები 12 360 538 ლარი (გეგმის 78,9%).

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ კანონით განსაზღვრულ ვადაში მოხდა 2024 წლის ბიუჯეტის მერიიდან შემოსული პირველი ვარიანტის განხილვა და შენიშვნებით უკან გადაგზავნა.

საკრებულოს მიერ 22 ნოემბერს მომავალი წლის მთავარი საფინანსო დოკუმენტის საჯარო განხილვა გაიმართა, რომელსაც მუნიციპალიტეტის სამსახურების, არასამთავრობო ორგანიზაციების, ადგილობრივი მედიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი დაზუსტებული პროექტით განისაზღვრა 22 მილიონ 483 ათას 900 ლარით.

მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის სფეროს კუთხით ეკონომიკის, ქონებისა მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის მიერ შესწავლილი იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული საპრივატიზაციო გეგმასა და ნუსხაში შესატანი ქონებები. ასევე, კომისიის მიერ რეკომენდაცია მიეცა მერიის შესაბამის სამსახურებს, რათა მიემართათ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთვის, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზღვრებში არსებული უსახური ქონებები, რომლებიც აუშნოებს და ამახინჯებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის იერსახეს, ასევე საფრთხის შემცველია მოსახლეობისთვის და იმყოფება შესაბამისი სამინისტროს ბალანსზე, საბოლოოდ მომხდარიყო მათი პრივატიზება ან გადმოცემა მუნიციპალიტეტისთვის.

კომისიის მიერ შესწავლილი და განხილული იქნა „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

კომისიის მიერ ასევე შესწავლილი და განხილული იქნა „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ასევე, კომისიამ განიხილა „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი - კერძოდ: საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგმა განახორციელა სოფლის ამბულატორიული ქსელის ინფრასტრუქტურული მდგომარეობის ანალიზი საქართველოს ყველა რეგიონში. დასკვნის შედეგად, განხორციელდა სოფლის ამბულატორიების გადაცემა საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის ბალანსზე, აღნიშნული დადებითად იმოქმედებს „სოფლის ექიმის“ პროგრამის განხორციელებაზე.

ეს და სხვა გადაწყვეტილებები კომისიის მიერ ასახულია ოქმებში და გამოქვეყნებულია კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

- სოციალურ საკითხთა, განათლების კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მიერ განხილულ იქნა „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ 23 პროგრამა და „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ - 4 პროგრამა.

ასევე აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მიმდინარე წელს 23 სოციალური პროგრამა ფინანსდება 970 570 ლარით, რაც გასულ წელთან შედარებით თითქმის 190 ათასი ლარით მეტია. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება როგორც მზრუნველობა მოკლებული ბენეფიციარების კვების უზრუნველყოფა და სოციალურად დაუცველი ბავშვების ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია, ასევე, ხორციელდება მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების, უსახლკარო ოჯახების ქირავნობის პროგრამაში ჩართვა. ამასთან, მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ქრონიკული დაავადების მატარებელ ბენეფიციარებს. ასევე, მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებს.

სოციალური პროგრამებით სარგებლობენ:

- მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა - 115 ბენეფიციარი;

- მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა - 17 ბენეფიციარი;

- მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა - 53 ბენეფიციარი (მათ შორის ძალადობის მსხვერპლი ქალი - 1);

- ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა - 85 ბენეფიციარი;

- მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა - 99 ბენეფიციარი;

- ცენტრ „იავნანას“ თანადაფინანსების პროგრამა - 24 ბენეფიციარი;

- ბიკარბონატული ჰემოდიალეზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა - 14 ბენეფიციარი;

- იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა - 61 ბენეფიციარი;

- სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა - ისარგებლა 498 ბენეფიციარმა;

- ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა ისარგებლა 94 ბენეფიციარმა;

- მძიმე საცხოვრებელ პირობებში უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების ერთჯერადი დახმარების პროგრამა - 39 ბენეფიციარი;

- უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა - 1 ბენეფიციარი;

- ლანჩხუთის რეგიონული ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ სარეაბილიტაციო პროგრამა ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალებისათვის;

- ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა - 2 ბენეფიციარი;

- შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა - 20 ბენეფიციარი;

- ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/ აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა - 71 ბენეფიციარი;

- გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობის პროგრამა - 1 ბენეფიციარი;

- სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების დახმარების პროგრამა - 11 ბენეფიციარი;

- მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებს, რომელთა რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება განხორციელდება ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამა;

- 0-დან 18 წლამდე დედ-მამით ობოლ ბავშვებს და შშმ ბავშვებს, რომელიც არის ობოლი, ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა - 6 ბენეფიციარი;

- ცელიაკიით დაავადებულთა (18 წლამდე ასაკის) კვებითი დანამატებით უზრუნველყოფის პროგრამა - 3 ბენეფიციარი;

- აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა - 18 ბენეფიციარი;

- რისკის ქვეშ მდგომი 0-დან 18-წლამდე ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების პროგრამა - 25 ბენეფიციარი;

სოციალური კუთხით ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ლანჩხუთში ძუძუს კიბოს სკრინინგის ცენტრის შეიქმნა, რომელიც თანამედროვე, ძვირადღირებული აპარატურით არის აღჭურვილი. პროექტი ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის პროგრამის „ჰორიზონტი 2020-ის“ ფარგლებში დაფინანსდა. ცენტრი შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულშია განთავსებული და ემსახურება პაციენტებს.

ლანჩხუთში ფუნქციონირებს 150 სტუდენტზე გათვლილი მულტიპროფილური კოლეჯი, რომელიც ოზურგეთის კოლეჯის „ჰორიზონტი“ სასწავლო ბაზა გახლავთ, რაც სოციალური კუთხით ძალიან კარგი და მისასალმებელი მოვლენაა. კოლეჯში პროფესიული განათლების მსურველები შეძლებენ ტურიზმის, სოფლის მეურნეობის, ინფორმაციული ტექნოლოგიების, ინჟინერიის, განათლებისა და მომსახურების სფეროს პროფესიების დაუფლებას.

საკრებულოს თავმჯდომარე, აქტუალობიდან გამომდინარე, შეეხო მუნიციპალიტეტში განხორციელებულ და განსახორციელებელ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, რომელთაგან ზოგიერთი მათგანის შესახებ უკვე ისაუბრა.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია და მისი წევრები საანგარიშო პერიოდში მონაწილეობდნენ პროექტების შერჩევასა და განხორციელებაში. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო მაჟორიტარი დეპუტატების აქტიური მონაწილეობა ამ მხრივ. ცალკე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ წელს ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის გაცილებით მეტი თანხებია გათვალისწინებული, ვიდრე გასულ წლებში.

რეგიონული განვითარების ფონდის მიერ ჯამში 6 მილიონამდე თანხა იხარჯება, რითაც:

ქალაქის ტერიტორიაზე მოხდა შემდეგი ქუჩების მოასფალტება: მშვიდობის, ხომერიკის, ურუშაძის, გორგასლის, ვაჟა ფშაველას, წერეთლის, ნათლისმცემლის, ჭანტურიას ქუჩების და პროფსასწავლებელთან მისასვლელი გზის.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში დასრულდა სოფელ შუხუთიდან სოფელ გაგურის ცენტრამდე გზის რეაბილიტაცია, რაზეც 4 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ნიგოითის, გვიმბალაურის, ნინოშვილის, მამათის, აცანის, შუხუთის, ჯურუყვეთის, ნიგვზიანის, ჩოჩხათის, ლესის და სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა სასოფლო გზების, გეგმით გათვალისწინებული რეაბილიტაცია დასრულებულია.

სუფსაში და სოფელ ხაჯალიაში აშენდა 100-100 ბავშვზე გათვლილი ბაღები.

მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განხორციელდა ქალაქ ლანჩხუთის ცენტრის კეთილმოწყობა, რაც 5 მილიონ 100 ათასი ლარი დაჯდა. მოხდა 12 შენობის რეაბილიტაცია, ასევე, განხორციელდა ქალაქის ცენტრალური მოედნის, ცენტრალური პარკის განახლება.

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ აკეთის, ჯურუყვეთის, ღრმაღელის და ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულებში წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია ხორციელდება.

სოფლის პროგრამის ფარგლებში ლანჩხუთის ადმინისტრაციული ერთეულის 55-ვე სოფელში 748 ათასი ლარის სამუშაოები მიმდინარეობს. მოსახლეობის აქტიური ჩართულობით, სოფლის კრებებზე მოხდა იმ პრიორიტეტების განსაზღვრა, რომელიც შემდგომ აღნიშნულ პროგრამაში იქნა გათვალისწინებული.

საქართველოს რეგიონების ინტეგრირებული განვითარების ფარგლებში მიმდინარე სამუშაოებია:

ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა, მდინარე ფიჩორამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია. ასევე, მდინარეზე ნავმისადგომის და სხვა ინფრასტრუქტურის მოწყობა. ასევე სოფელ ჩიბათში ტურისტული ცენტრის ელექტრიფიცირების სამუშაოები. ჯამში 1,5 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა.

მაჩხვარეთის ადმინისტრაცულ ერთეულში, სოფელ ორაგვეში ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა, რომელიც ორ ეტაპად განხორციელდება და ჯამში 4 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარეობს გაზიფიცირების მასშტაბური სამუშაოები, რომელიც განხორციელდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფლებში: ჯიხანჯირი, შრომისუბანი, ჩოჩხათი, მოედანი, ხორეთი, კოკათი, ნინოშვილი, ყელა, ხაჯალია, ნიგვზიანი, არჩეული, ჩანჩეთი, ჯურუყვეთი, ეწერი, ბაღლეფი და გულიანი.

დაიწყო აკეთის, ნინოშვილის, ნიგვზიანის, ღრმაღელის და გულიანის საბავშვო ბაღების მშენებლობა.

ინტენსიურად მიმდინარეობს ქალაქის #1, ხაჯალიის, ღრმაღელის საჯარო სკოლების სრული რეაბილიტაცია.

ქალაქის #3, ნიგვზიანის, ჩიბათის ზაზა სულაბერიძის სახელობის საჯარო სკოლებმა მიიღეს ავტორიზაცია, რაც ძალიან სასიამოვნო ფაქტია.

სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში მეორედ მოეწყო თევზის ფესტივალი, რომელზეც ბევრი ტურისტი იყო ჩამოსული, მათ შორის უცხოეთიდან.

თითოეული საკითხი, განცხადება, წინადადება საკრებულოს თანამდებობის პირებს კონტროლზე გვაქვს აყვანილი და ეტაპობრივად მოხდება უდიდესი ნაწილის დაკმაყოფილება ან მაქსიმალური მხარდაჭერა.

აუცილებელია აღინიშნოს საკრებულოში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს როლზე, რომელიც შექმნილია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში გენდერულ საკითხებზე სისტემური და საქართველოს პარლამენტის მიერ შექმნილი გენდერული თანასწორობის საბჭოსთან კოორდინირებული მუშაობის

უზრუნველსაყოფად. იგი ახორციელებს მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და თანამდებობის პირთა მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების ანალიზს გენდერული თვალსაზრისით და შეიმუშავებს წინადადებებს გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად.

საბჭომ საანგარიშო პერიოდში 3 სხდომა ჩაატარა, ცვლილებები შეიტანა სამუშაო გეგმაში.

გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები 2023 წლის ბიუჯეტის ფორმირებაში აქტიურად იყვნენ ჩართულები.

მათ მიერ წამოვიდა შემდეგი ინიციატივები:

1. გურული მხედრების მოედნის კეთილმოწყობა;

2. შშმ პირთათვის სპეციალური ხმოვანი შუქნიშნის დამონტაჟება;

3. „სკეიდბორდის“ გზის გაკეთება;

4. ქალაქის მასშტაბით ქუჩების რეაბილიტაცია (ჭანტურიას ქუჩა, კვირკველიას ქუჩა, საფო მგელაძის ქუჩა, რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორია და ხომერიკის ქუჩა);

5. შენობის ფასადის მოპირკეთება (სადაც განთავსებულია სოც. სამსახური და საარჩევნო ოლქი, რესურსცენტრი და ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი“);

6. მოქალაქეთათვის და ბავშვებისთვის კეთილმოწყობილი და შესაბამისად, აღჭურვილი სივრცე მუნიციპალიტეტის შენობაში.

აღნიშნული ინიციატივების ნაწილი უკვე სამუშაო პროცესშია, ნაწილის პროექტირება მოხდა, ნაწილი კი მომავალში გაკეთდება.

საბჭოს მიერ დაიგეგმა 2024 წლის ბიუჯეტში წარსადგენი ინიციატივები.

გენდერული საბჭოს ინიციატივით მიმდინარე წელს ჩატარდა მუნიციპალიტეტში საჭიროებების კვლევა, გამოიკვეთა პრიორიტეტები და მოსახლეობის საჭიროებებს კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი.

ასევე, საბჭო შეხვდა ახალგაზრდებს და საუბარი შეეხო გოგონათა ეკონომიურ გაძლიერებას, გენდერული თანასწორობის საკითხებში მუნიციპალურ გამოწვევებს. ასევე, ახალგაზრდებმა გამოთქვეს წინადადებები, თუ რა უნდა გაკეთდეს მუნიციპალიტეტში.

საბჭო აქტიურად იყო ჩართული ვარდისფერი ოქტომბრის ძუძუს კიბოს ცნობადობის ამაღლების კამპანიაში.

29 მაისს სახალხო დამცველის აპარატთან თანამშრომლობით გაიმართა დისკუსია სექსუალური შევიწროების საკითხებზე, რომელსაც საბჭოს წევრები ესწრებოდნენ.

გენდერული საბჭოს ხელშეწყობით ქალთა საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის“ ფეხბურთელებს შეხვდნენ ფრიდრიხ ებერტის ფონდის და მსოფლიო ორგანიზაცია spirit of football წარმომადგენლები. შეხვედრის თემა ქალთა თანასწორობის მიღწევა, გარემოს დაცვა და უთანასწორობის აღმოფხვრა გახლდათ.

დღეისათვის გენდერის საბჭოში გაერთიანებულია 31 წევრი, მათ შორის არიან როგორც საკრებულოს, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

როგორც ცნობილია, საკრებულოს, საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს საკრებულოს აპარატი. მისი უფლებამოსილება, სტრუქტურა და მუშაობის ორგანიზება განსაზღვრულია საკრებულოს აპარატის დებულებით.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს არსებული კანონმდებლობის

შესაბამისად, გაწეული აქვს გარკვეული მუშაობა. თანამშრომელთა შორის ფუნქციები და უფლებამოვალეობანი განაწილებულია სტრუქტურის მიხედვით. აპარატის თანამშრომლები უზრუნველყოფენ ორგანიზაციულ, იურიდიულ, დოკუმენტურ, ანალიტიკურ და საინფორმაციო მომსახურებას. აპარატს დიდი წვლილი შეაქვს საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, კომისიებისა და ფრაქციების სხდომების, აგრეთვე, საკრებულოს და საკრებულოს თანამდებობის პირთა მიერ სხვა ღონისძიებების ჩატარებაში; უნდა აღინიშნოს, რომ აპარატი ოპერატიულად ახორციელებს საკრებულოს საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გამოვთქვა აპარატის თითოეული თანამშრომლის მიმართ. მათი სწორი და გუნდური მუშაობა საკრებულოს წარმატებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

მთლიანობაში, საკრებულოს აპარატის ხელშეწყობით მომზადდა სამართლებრივი აქტების პროექტები, სხვადასხვა უწყებებსა და ორგანიზაციებთან გასაგზავნი წერილები, მიმართვები და სხვა დოკუმენტები. გარდა ამისა:

- მუნიციპალიტეტის მერიიდან და სხვა ორგანიზაციებიდან შემოსულია პროექტები და მიღებულია გადაწყვეტილებები: ბრძანება - 162, განკარგულება - 77, დადგენილება - 20;

- საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე შემოსულია 12 განცხადება, დაკმაყოფილდა ყველა.

- მუნიციპალიტეტის გარეთ საკრებულოდან გაგზავნილია - 42 წერილი.

- საკრებულოდან საკრებულოს თავმჯდომარის მიერ მერიაში გაგზავნილია - 203 წერილი.

- მუნიციპალიტეტის გარეთ ორგანიზაციებიდან შემოსულია (მათ შორის მოქალაქეთა განცხადებები) - 84 წერილი.

- ადგილობრივი ორგანიზაციებიდან შემოსულია (მათ შორის მერიიდან) - 124 წერილი.

დაკმაყოფილებულია ყველა - შვებულება, ხელფასის ცნობა, საკრებულოს სხდომაზე დასწრება, სამუშაო ადგილის შესახებ ცნობა.

საკრებულოს წევრები ასევე აქტიურად არიან ჩართული მოქალაქეთა დახმარების კუთხით. მათი შუამდგომლობების საფუძველზე ხდება სოციალური დახმარების გაცემა.

ადგილობრივი თვითმმართველობის მთავარი როლი და მიზანია საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა. ასევე, მუნიციპალიტეტის ორგანოები ვალდებული არიან, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში მაქსიმალურად უზრუნველყონ მოქალაქეთა ჩართულობა.

როგორც საკრებულოს თავმჯდომარე, თითქმის ყოველდღიურ რეჟიმში ახდენდა მოქალაქეთა მიღებას. მომართვიანობა ძირითადად სოციალური და ინფრასტრუქტურული პრობლემების მიმართულებით ჭარბობს. შესაძლებლობების ფარგლებში ადგილზე ხდება დახმარების გაწევა, ასევე, მოქალაქეთა ინფორმირებულობა ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით.

საანგარიშო პერიოდში უწყვეტ რეჟიმში ხორციელდებოდა საკრებულოს სხდომების პირდაპირი ტრანსლირება.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ სოციალური ქსელის საშუალებით (საკრებულოს ფეისბუქ- გვერდზე) თვალი ადევნონ სხდომების მიმდინარეობას.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საანგარიშო პერიოდში საკრებულოს სხდომებზე სიტყვით გამოვიდა მუნიციპალიტეტის რამდენიმე მოქალაქე.

როგორც ცნობილია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო სარგებლობს სოციალური ქსელით (Facebook), სადაც პერმანენტულად ქვეყნდება ბიუროს, კომისიის, ფრაქციის, საკრებულოს სხდომების შესახებ ინფორმაცია და ყველა ის ღონისძიება, რომელშიც საკრებულოს წევრები იღებენ მონაწილეობას.

ასევე, ფუნქციონირებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი www.lanchkhuti.gov.ge, სადაც პროაქტიულად ქვეყნდება საკრებულოს საქმიანობის შესახებ ინფორმაცია.

საკრებულოს თავმჯდომარეს მიაჩნია, რომ საკრებულოს გაცილებით მეტის გაკეთება შეუძლია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საკეთილდღეოდ. ბიუროსა და თითოეული საკრებულოს წევრთან ერთად, მუნიციპალიტეტის მერთან, აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ურთიერთ თანამშრომლობით, ერთობლივი ძალისხმევით ნამდვილად შეძლებენ მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემების დაძლევას და მოგვარებას.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** დამსწრე საზოგადოებას კიდევ ერთხელ მიულოცა დამდეგი შობა-ახალი წელი, უსურვა წინსვლა და შემდგომი წარმატებები.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ **გიორგი ჩახვაძემ** მადლობა გადაუხადა საკრებულოს თავმჯდომარეს გაწეული საქმიანობისთვის და აღნიშნა, რომ ერთობლივი მუშაობით მაქსიმალურად შეეცდებიან მიიღონ მუნიციპალიტეტისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებებს.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის წლიური ანგარიში გაწეული მუშაობის თაობაზე საკრებულოს წევრების მიერ ცნობად იქნა მიღებული.

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილემ **გიორგი გოგუაძემ** აღნიშნა, რომ კომპანია სოკარ ჯორჯიას მიერ, მრიცხველიდან მაჩვენებლის აღრიცხვამდე ათი დღით ადრე ხდება წნევის დაწევა, რის შედეგად იზრდება ხარჯვითი ნაწილი და შესაბამისად, გადასახადი. მან თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, რომ გაერკვეს სიტუაციაში.

საკრებულოს წევრმა **ჯუმბერ ბლაგიძემ** მიმართა მუნიციპალიტეტის მერს იმასთან დაკავშირებით, რომ შესაძლებლობიდან გამომდინარე, მომავალი წლის იანვარ-თებერვლის თვეში წარმოადგინოს, თუ როგორია მიდგომა მოსახლეობის იმ კატეგორიასთან მიმართებაში, ვისაც დაუზიანდა კარ-მიდამო. ასევე, სამუშაო ჯგუფის შექმნის შემთხვევაში, სურვილი აქვთ, მიიღონ მის მუშაობაში მონაწილეობა.

მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ ამ კუთხით ზარალი საკმაოდ დიდია, მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, პირველ რიგში აკმაყოფილებენ იმათ, ვისაც არ აქვთ საცხოვრებელი. მუნიციპალიტეტის მიერ ასევე მიწოდებულია გასამაგრებელი სახლების შესახებ და ასეთი იყო 1000-ზე მეტი, რასაც შემდგომი წვიმების შედეგად დაემატა 80 ოჯახი და უახლოესი ინფორმაციით გაირკვა, რომ კიდევ ასეთი 19 ოჯახია. რაც შეეხება ნარგავებს, ამ კუთხით აქვთ გარკვეული გათვლები, მაგრამ ჯერ-ჯერობით მიდის მსჯელობა და გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

საკრებულოს წევრმა **ირმა მგელაძემ** დასვა შემდეგი საკითხი:

-მუნიციპალიტეტში თუ ჩამოვიდა სუფსის და ხაჯალიის საბავშვო ბაღებთან დაკავშირებით შესაბამისი ცნობა;

-მოხდა თუ არა მის მიერ წერილობით მიწოდებული ინიციატივის განხილვა იმის თაობაზე, რომ მუნიციპალურ ტრანსპორტში საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს ჰქონდეთ უფასოდ მგზავრობის საშუალება;

-სოფელ ჭანჭათში გზა არის კატასტროფულ მდგომარეობაში. ახალგაზრდა ადამიანი გარდაიცვალა, რადგან სასწრაფო დახმარების მანქანა ვერ მივიდა ბოლომდე და ექიმებს მოუწიათ ფეხით მისვლა, რის გამოც გადაუდებელი დახმარება ვერ გაუწიეს დროულად.

მუნიციპალიტეტის მერის **ალექსანდრე სარიშვილის** განმარტებით, საკრებულოს წევრს სავარაუდოდ, მცდარი ინფორმაცია მიაწოდეს. ზოგადად, პრობლემის შესახებ ცნობილია. პირადად იმყოფებოდა ადგილზე. ჭანჭათში შიდა სასოფლო გზის გარკვეული მონაკვეთი საკმაოდ დაზიანებულია, სადაც მიმდინარეობს წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები, მაგრამ მაქსიმალურად ცდილობენ, რათა დროულად

გამოსწორდეს სიტუაცია. რაც შეეხება საბავშვო ბაღის აღსაზრდელების უფასოდ მგზავრობას, საკითხის განხილვა არ მომხდარა, შეიქმნება კომისია, რომლის მუშაობის შემდეგ ჩამოყალიბდებიან რა ფორმით მოხდეს გადახდა. სუფსის საბავშვო ბაღთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ დასკვნა გამზადებულია, გაიჭრა დამატებით ახალი სახანძრო უსაფრთხოების კარები. შესაბამისად, აკმაყოფილებს მოთხოვნილ სტანდარტს და ახალი წლიდან მის ფუნქციონირებას ხელი არ შეეშლება.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე საკრებულოს წევრთა
დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

22 დეკემბერი **2023** წელი
12:00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ბესიკ ტაბიძე	11 05	
2	ემზარ თევდორაძე		
3	ვერიკო კვირკველია	11.59 00	
4	გიორგი ჩახვაძე	11.59	
5	გიორგი ხელაძე	11 50	
6	ალექსანდრე მახათაძე	11 45	
7	ზაზა წულაძე	11 00	
8	კარლო კვიტაიშვილი	11 55	
9	გიორგი იმნაიშვილი	11 4,	
10	ია მოქია	11:50	
11	კახაბერ ასკურავა	11 45	
12	მაკა მშვიდობაძე	შვებულებაში	
13	ვლადიმერ ნანაძე	11 40	
14	კარლო წილოსანი	11 45	
15	ლოლიტა ურუშაძე	11 55	
16	ნინო მშვიდობაძე	11:58	
17	გოგი მორჩილაძე		
18	სპარტაკ კვაჭაძე	11.57	
19	გიორგი გოგუაძე	11 35	
20	გოჩა ჯანაშია	11 53	
21	ელისო ჭიჭინაძე	11 00	
22	რევაზ კვერენჩხილაძე	11 55	
23	კახა თედორაძე		

24	დარეჯან ბურჭულაძე	11:50	
25	ირმა მგელაძე	11:50	
26	გივი ცინცაძე	11:50	
27	ჯუმბერ ბლაგიძე	11:50	